

წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

1-21 სექტემბერი 2012

მედია მონიტორინგის დროს 1-21 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები:

- რუსთავი 2-სა და მაესტროს გარდა, ყველა არხზე ყველაზე მეტი დრო კოალიცია ქართულ ოცნებას დაეთმო.
- იმედზე დაფიქსირდა მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე ნაკლები სუბიექტის გაშუქება.
- მაესტროზე, კავკასიასა და მეცხრე არხზე დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში არიან: მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ სხვადასხვა თანმიმდევრობით.
- პრეზიდენტი მხოლოდ რუსთავი 2-ზე, იმედსა და რეალ ტვ-ზე მოხვდა პირველ სამეულში.
- ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება მხოლოდ პირველ არხზე მოხვდა დათმობილი დროის მიხედვით პირველ სამეულში.
- პირველი არხისა და მეცხრე არხის გარდა, ყველა არხზე პრეზიდენტს პირდაპირი საუბრის წილი 51 პროცენტზე მეტი აქვს.

- სხვა არხებთან შედარებით პირველ არხზე სხვადასხვა სუბიექტების გაშუქებისას ნეიტრალური ტონი ჭარბობს.
- რუსთავი 2-ზე, იმედზე და რეალ ტვ-ზე პრეზიდენტი 70 პროცენტზე მეტი დროის განმავლობაში დადებითი ტონით გაშუქდა.
- რეალ ტვ-ზე კოალიცია ქართული ოცნება დათმობილი დროის 77 პროცენტის შემთხვევაში უარყოფითად გაშუქდა.
- მაესტროსა და მეცხრე არხზე ერთსა და იმავე სუბიექტების მიმართ გამოვლინდა უარყოფითი ტონის შედარებით მეტი წილი: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა,

მთავრობა, პრეზიდენტი. თუმცა, კავკასიასზე უარყოფითი ტონის მაჩვენებლები ყველაზე დაბალია, მეცხრე არხზე კი - ყველაზე მაღალი.

- პირველ არხზე ჟურნალისტის ტონი, მთავრობის გარდა, ყველა სუბიექტის მიმართ 94 პროცენტზე მეტი წილის შემთხვევაში ნეიტრალური იყო.
- რუსთავი 2-სა და იმედზე გამოვლინდა პრეზიდენტისადმი ჟურნალისტის მაღალი დადებითი ტონი (63 პროცენტზე მეტი) და კოალიცია ქართული ოცნებისადმი საკმაოდ მაღალი უარყოფითი ტონი (35 პროცენტზე მეტი).
- რუსთავი 2-ზე, იმედსა და რეალ ტვ-ზე ჟურნალისტის ტონის შედეგები იმეორებს საერთო ტონის სურათს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გაშუქების შემთხვევაში.
- მეცხრე არხსა და მასტროზე ჟურნალისტის ტონი იმეორებს ზოგადი ტონის სურათს და მთავრობას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ადგილობრივ თვითმმართველობას, პრეზიდენტსა და ცესკოს საკმაოდ მაღალი უარყოფითი ტონი აქვს.
- რეალ ტვ-ზე ჟურნალისტის ტონის უარყოფითი წილი კოალიცია ქართული ოცნების მიმართ კიდევ უფრო მეტია (85%), ვიდრე საერთო უარყოფითი ტონის წილი.

მეთოდოლოგია და ანალიზი

ტელევიზიების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ არხზე ყველა

სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამ არხზე ამ პარტიას დრო საერთოდ არ დაეთმო. ის პარტიები კი, რომლებსაც რამდენიმე წამი/წუთი მაინც დაეთმო, დიაგრამაზე ნაჩვენებია (ზოგჯერ დროის 0 პროცენტით). თითოეულ არხზე კატეგორია სხვაში გაერთიანებულია ის სუბიექტები (პოლიტიკური პარტიების გარდა), რომლებსაც ამ არხზე დროის 1 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი ყოველთვის ითვლება ცალკე, მიუხედავად იმისა ის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით აკეთებს განცხადებას თუ არა. თუმცა, თუ სხვა პოლიტიკური ფიგურები, როგორებიც არიან, მაგალითად: ვანო მერაბიშვილი, დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა და ა.შ., გამოდიან პარტიის სახელით და აკეთებენ მიმართვას ან კანდიდატების წარდგენას ისინი ითვლებიან როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და არა როგორც „მთავრობა“ ან „პარლამენტი“.

პირდაპირი და ირიბი საუბარი ერთმანეთისგან განასხვავებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი საუბარი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო, რაც დიაგრამებზე მოცემულია სუბიექტების გასწვრივ (სთ:წთ:წმ ფორმატში). ის სუბიექტები, რომლებსაც არხზე ერთ წუთზე ნაკლები დრო დაეთმო, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ არხზე სუბიექტზე საუბრის დრო მთლიანად და ცალკე ჟურნალისტების მიერ ამ სუბიექტზე საუბრის დრო. სუბიექტები, რომლებსაც თითოეულ შემთხვევაში დაეთმო 1 წუთზე ნაკლები, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები), არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. ხდება დაკვირვება, რამდენად ეხება სიუჟეტი რაიმე კონკრეტულ ფაქტს და არის თუ არა სიუჟეტში მოყვანილი ამ ფაქტის დამადასტურებელი კადრები/კომენტარები.

მონიტორინგი ყურადღებას აქცევს საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს. ითვლება, რომ მოახდინეს კადრებითა და მუსიკით მანიპულირება მაშინ, როცა სიუჟეტში გამოყენებული კადრები, ფოტოები ისეა წარმოდგენილი და თან დაჰყვება ისეთი მუსიკა, რომელიც გარკვეულ განწყობას ქმნის და იწვევს მკვეთრად დადებით ან უარყოფით ასოციაციებს.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 1-21 სექტემბრის პერიოდის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში მონიტორინგის ქვეშ მოხვდნენ მხოლოდ ის პარტიები და გაერთიანებები, რომლებიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თანახმად, 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დარეგისტრირდნენ საარჩევნო სუბიექტებად. დანარჩენი სუბიექტები, როგორებიცაა მთავრობა,

პრეზიდენტი, პარლამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები,¹ ცესკო, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია (სია), დამკვირვებლები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, უცვლელია.

პირველი არხი

პირველ არხზე სუბიექტებს 1-21 სექტემბრის პერიოდში სულ 6 საათი და 30 წუთი დაეთმო. ამ დროის ყველაზე დიდი წილი კოალიცია ქართულ ოცნებას ერგო. აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე თითქმის ყველა პარტიას დაეთმო დრო, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დარეგისტრდნენ საარჩევნო სუბიექტებად. სუბიექტების უმრავლესობას, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი საუბრის წილი უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ირიბი საუბრის წილი. გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალურია ყველა სუბიექტის მიმართ, როგორც საერთო, ასევე ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში. ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურებიც. 18 სექტემბერს პირველ არხზე საინფორმაციო გამოშვება არ გასულა, რადგან ამ დროს ეთერი დაეთმო პოლიტიკურ პარტიებს შორის წინასაარჩევნო დებატებს. შესაბამისად, პირველ არხს ამ დღის საღამოს ეთერში პატიმართა წამებასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ გაუშუქებია. თუმცა, მომდევნო დღეებში ამ თემასთან დაკავშირებით მომზადდა სიუჟეტები. წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ, პირველ არხზე სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია. რაც შეეხება ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არხზე ასეთი ფაქტები ყოველთვის მოცემულია.

მონიტორინგის პერიოდში (1-21 სექტემბერი) პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილმა დრომ ჯამში შეადგინა 6 საათი და 30 წუთი. დათმობილი დროის ყველაზე დიდი წილი, 18 პროცენტი, დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას. ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ლეიბორისტულ პარტიას თითქმის

¹ მონიტორინგი ადგილობრივი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების გაშუქებას აკვირდება მხოლოდ საარჩევნო კონტექსტში.

ერთიანი დრო დაეთმო (ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება 12%, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 12% და ლეიბორისტული პარტია 11%). აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე გასულ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში თითქმის ყველა პარტიას დაეთმო დრო, რომლებიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თანახმად, 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დარეგისტრდნენ საარჩევნო სუბიექტებად. (იხ. დიაგრამა Time 1)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ აღსანიშნავია, რომ სუბიექტების უმრავლესობას, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი საუბრის წილი უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ირიბი საუბრის წილი. პირდაპირი საუბრის ყველაზე მაღალი წილი, 70 პროცენტი, ლეიბორისტული პარტიის შემთხვევაში დაფიქსირდა. რაც შეეხება პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალ განაწილებას, ეს მთავრობის შემთხვევაში გამოვლინდა - 17 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 1)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით შეფასებისას გამოვლინდა, რომ პირველ არხზე მონიტორინგის სუბიექტების უმრავლესობა ნეიტრალურად შუქდება. უმეტეს შემთხვევაში, ნეიტრალური ტონის წილი 94 პროცენტზე მაღალია. ასევე საკმაოდ მაღალი (84%) ნეიტრალური გაშუქება დაფიქსირდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში. გამონაკლისებია მხოლოდ მთავრობა და პრეზიდენტი. ამ პერიოდში, დათმობილი 25 წუთიდან, მთავრობა 53 პროცენტის შემთხვევაში გაშუქდა ნეიტრალურად. ამ დროის 34 პროცენტი უარყოფითად წარმოაჩენდა მას, ხოლო 13 პროცენტი - დადებითად. ასევე, შედარებით დაბალი ნეიტრალური გაშუქების წილი აქვს პრეზიდენტს - 65 პროცენტი. მისთვის დათმობილი 18 წუთიდან 31 პროცენტი უარყოფითად წარმოაჩენს მას. (იხ. დიაგრამა Tone 1)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, ორი სუბიექტის გარდა, ყველა სუბიექტი 98 პროცენტით ნეიტრალური ტონითაა გაშუქებული. ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ჟურნალისტის მიერ დათმობილი 16 წუთიდან 5 პროცენტი დადებითი გაშუქება აქვს. მთავრობა კი, რომელსაც 7 წუთი დაეთმო, 13 პროცენტი უარყოფითი ტონით და 5 პროცენტი დადებითი ტონით გაშუქდა. (იხ. დიაგრამა Tone J1)

მონიტორინგის ამ პერიოდში პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურები ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა.

მონიტორინგი სიუჟეტებს აკვირდება მთლიანობაშიც და აღრიცხავს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებას რომელიმე სუბიექტის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე ჭარბობს ნეიტრალური შინაარსის მქონე სიუჟეტები. იშვიათად დაფიქსირდა დადებითი გაშუქების შემთხვევები (უმეტესად სექტემბრის პირველ ნახევარში) პრეზიდენტის, მთავრობის წარმომადგენლებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ. მაგალითად, 1 სექტემბრის სიუჟეტში „პრემიერმინისტრი გორში“ ნაჩვენებია, როგორ სეირნობს ვანო მერაბიშვილი ქუჩებში და ეცნობა ქალაქის რეაბილიტაციის პროცესს.² 21 სექტემბრის სიუჟეტი „საარჩევნო მოამბე პოლიტიკის მიღმა“ ნაციონალური მოძრაობის სიის პირველ ნომერს დავით ბაქრაძეს დადებითად წარმოაჩენს. იგი წარმოდგენილია, როგორც ოჯახსა და მეგობრებზე მზრუნველი ადამიანი.

თუმცა, სექტემბრის პირველ ნახევართან შედარებით, სექტემბრის მეორე ნახევრის გადაცემებში მეტი რაოდენობით უარყოფითი სიუჟეტი გავიდა მთავრობასა და პრეზიდენტზე. ამ პერიოდს დაემთხვა პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოების გავრცელება (18 სექტემბერს), რასაც მოჰყვა საპროტესტო აქციების ტალღა ქვეყანაში, რიგი სახელმწიფო მოხელეებისა და ციხის თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნა და პასუხისგებაში მიცემა. 18 სექტემბერს პირველ არხზე საინფორმაციო გამოშვება არ გასულა, რადგან ამ დროს პირდაპირ ეთერში პოლიტიკურ პარტიებს შორის წინასაარჩევნო დებატები მიმდინარეობდა. შესაბამისად, პირველ არხს ამ დღის საღამოს ეთერში ეს მოვლენები არ გაუშუქებია. თუმცა, მომდევნო დღეებში ამ თემასთან დაკავშირებით მომზადდა სიუჟეტები, რომლებიც ეხებოდა როგორც საპროტესტო აქციებს, ასევე გავრცელებულ ვიდეოებსა და მის შეფასებებს. ამ სიუჟეტებიდან რჩებოდა უარყოფითი შთაბეჭდილება მთავრობის წარმომადგენლებზე და ამ უარყოფით შთაბეჭდილებას, ძირითადად, რესპოდენტების საუბარი ქმნიდა.

² იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=MSaBa8MYZrg&feature=youtu.be>

მაგალითად, 19 სექტემბრის სიუჟეტში „ვითარება გლდანის საპრობილესთან“ რესპოდენტები ადანაშაულებენ ბაჩო ახალაიას (ყოფილ შსს მინისტრს) და მის გადადგომას მოითხოვენ. სიუჟეტში „საპროტესტო აქციები“ რესპოდენტები არამარტო ბაჩო ახალაიას და ხათუნა კალმახელიძის (ყოფილი სასჯელაღსრულების მინისტრის) გადადგომას, არამედ მათ დასჯასაც მოითხოვენ. სიუჟეტი „პოლიტიკოსების შეფასება“ ნეგატიურ შთაბეჭდილებას ქმნის პრეზიდენტსა და მთავრობაზე, რადგან რესპოდენტები მომხდარ ფაქტში მათ ადანაშაულებენ.

სიუჟეტში წარმოდგენილი რესპოდენტების მხრივ პირველ არხზე სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია და სხვადასხვა მოსაზრებაა წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო. ასევე, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გრძელდება სიუჟეტები, რომლებიც გაერთიანებულია რუბრიკაში „საარჩევნო ქრონიკა“ ან „საარჩევნო მოამბე“, სადაც საარჩევნო სუბიექტების კამპანია შუქდება. ამ სიუჟეტების შემთხვევაში რთულია ბალანსზე საუბარი. თუმცა, სექტემბრის მეორე ნახევარში ასეთი სიუჟეტების რაოდენობა შემცირებულია.

რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არხზე სიუჟეტებში ასეთი ფაქტები თითქმის ყოველთვის მოცემულია.

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში უკვე რამდენიმე თვეა პირველ არხს საინფორმაციო გადაცემაში აქვს პირდაპირი ჩართვა მოწვეულ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან. მონიტორინგის 1-21 სექტემბრის პერიოდში პირველ არხზე სულ 8 ასეთი ჩართვა იყო და თითოეულის საშუალო ხანგრძლივობა 10 წუთს შეადგენდა. აღნიშნული ჩართვების სტუმრები იყვნენ: ვახტანგ ხმაღამე (კოალიცია ქართული ოცნება), მამუკა კაციტაძე (ახალი მემარჯვენეები), ლევან ვეფხვაძე (ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება), მანანა კობახიძე (კოალიცია ქართული ოცნება), სოსო შატბერაშვილი (ლეიბორისტული პარტია), ზურაბ აბაშიძე (კოალიცია ქართული ოცნება), ნინო გობრონიძე (საია) და ნაზი ჯანუაშვილი (კონსტიტუციის 41-ე მუხლი).

მოცემულ ჩართვებში ჩვეულებრივ ერთი სტუმარია წარმოდგენილი და საუბარი პარტიების საარჩევნო პროგრამებს ეხება. ჟურნალისტი უმეტესწილად აცდის სტუმრებს ბოლომდე

აზრის გამოთქმას და მხოლოდ იმ შემთხვევაში აწყვეტინებს საუბარს, როცა სურს დამატებითი კითხვა დაუსვას, დააზუსტოს რამე, დროის სიმცირე ან რესპოდენტი გასცდა სასაუბრო თემას. ძირითადად, წამყვანის კითხვები ნაკლებად ან ზომიერად მომთხოვნია სტუდიაში მოწვეული სტუმრებისადმი.

რუსთავი 2

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ზე სუბიექტებს, ყველა სხვა არხთან შედარებით, ყველაზე მეტი დრო, თითქმის 12 საათი, დაეთმო. პირველი ოთხეულის შემთხვევაში დრო თანაბრად გადანაწილდა. თუმცა, თუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის პროცენტულ მაჩვენებლებს შევკრებთ, ასეთ შემთხვევაში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის დათმობილი დრო საკმაოდ გადააჭარბებს სხვა სუბიექტებისთვის დათმობილ დროს. პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ თითქმის ყველა სუბიექტის შემთხვევაში პირდაპირი საუბრის წილი ჭარბობს, მხოლოდ კოალიცია ქართული ოცნების, მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შემთხვევაშია ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალი. სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, თვალში საცემია პრეზიდენტის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, მთავრობის, ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დადებითი გაშუქება. რაც შეეხება სიუჟეტებს, რომელთა საერთო შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება, ისინი უფრო მეტად ეხება ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია ქართულ ოცნებას. სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციული და ნეიტრალურია. თუმცა, ხანდახან გვხვდება არანეიტრალური შინაარსის სათაურებიც. დადებითი სათაურების მქონე სიუჟეტები ხელისუფლებასა და მმართველ პარტიას უკავშირდება, უარყოფითი - კოალიცია ქართულ ოცნებას. პატიმრების წამების ვიდეოს გავრცელების შემდეგ გაჩნდა სიუჟეტები, სადაც უარყოფითი შთაბეჭდილება რჩებოდა ხელისუფლებაზე, თუმცა, უმეტესად ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში მთავარი აქცენტი იყო არა თვითონ წამების ფაქტებზე, არამედ სქემაზე, რომელსაც კავშირი ჰქონდა კოალიცია ქართულ ოცნებასთან.

მონიტორინგის პერიოდში (1-21 სექტემბერი) რუსთავი 2-ზე ყველა სუბიექტს, სხვა არხებთან შედარებით, ყველაზე მეტი დრო, ჯამში 11 საათი და 49 წუთი, დაეთმო. პირველი ოთხეულის შემთხვევაში დრო თანაბრად გადანაწილდა სუბიექტებს შორის. ყველაზე მეტი დრო დაეთმო პრეზიდენტს - 22 პროცენტი. შემდეგ მოდის კოალიცია ქართული ოცნება 20 პროცენტით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 19 პროცენტით და მთავრობა 17 პროცენტით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის პროცენტულ მაჩვენებლებს შევკრებთ, რადგან პრეზიდენტი წინასაარჩევნო პეიოდში თითქმის ყოველთვის პარტიის სახელით გამოდის და აქტიურად არის ჩართული კამპანიაში, მივიღებთ ჯამში 41 პროცენტს. ასეთ შემთხვევაში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის დათმობილი დრო საკმაოდ გადააჭარბებს სხვა სუბიექტებისთვის დათმობილ დროს. ამასთან, კოალიცია ქართული ოცნებისთვის დათმობილ დროზე ორჯერ მეტი იქნება. სხვა სუბიექტებს 7 პროცენტი ან ნაკლები დაეთმოთ. (იხ. დიაგრამა Time 2)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ თითქმის ყველა სუბიექტის შემთხვევაში პირდაპირი საუბრის წილი ჭარბობს და 60 პროცენტზე მეტია. მხოლოდ კოალიცია ქართული ოცნების, მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შემთხვევაშია ეს მაჩვენებელი 47 პროცენტზე ნაკლები. ყველაზე მეტი პირდაპირი საუბრის წილი აქვს პრეზიდენტს (76%), ყველაზე ნაკლები კი - მთავრობასა და კოალიცია ქართულ ოცნებას (46-46%). (იხ. დიაგრამა Speech 2)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, სურათი საკმაოდ დაუბალანსებელია ანუ რამდენიმე სუბიექტი ყოველთვის დადებითად შუქდება და ერთი სუბიექტი - ძირითადად ყოველთვის უარყოფითად. თვალში საცემია პრეზიდენტის (72%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (29%), მთავრობის (18%), ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანებისა (20%) და ადგილობრივი თვითმმართველობის (63%) დადებითი გაშუქება. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში დაფიქსირდა - 38 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი ტონი ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და მთავრობის მიმართაც დაფიქსირდა, მხოლოდ 4 და 6 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 2)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, სურათი მსგავსია. ყველაზე მეტი დადებითი ტონი დაფიქსირდა პრეზიდენტის (63% 31 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (23% 23 წუთიდან) და მთავრობის (11% 42 წუთიდან) მიმართ. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ისევე როგორც საერთო ტონის შემთხვევაში, ყველაზე დიდი მაჩვენებელი გამოვლინდა კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში - 35 პროცენტი 38 წუთიდან. (იხ. დიაგრამა Tone J2)

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ზე გასული სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციული და ნეიტრალურია. თუმცა, ხანდახან გვხვდება არანეიტრალური შინაარსის სათაურებიც. აღსანიშნავია, რომ დადებითი შინაარსის სათაურები უმეტესად ხელისუფლებას უკავშირდება, მაგალითად: „ახალი სამედიცინო ცენტრი: 6 სართულიანი კლინიკა 40.000 კვ.მ. ფართობზე განთავსდა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა.“ (4 სექტემბერი). ხოლო, უარყოფითი შინაარსის სათაურები ძირითადად კოალიცია ქართულ ოცნებას ეხება: „ივანიშვილი ქართული ღვინის წინააღმდეგ“ (6 სექტემბერი), „ივანიშვილის ტყუილი“ (7 სექტემბერი), „ივანიშვილის სკანდალური განცხადება“ (10 სექტემბერი). აღსანიშნავია, რომ სექტემბრის მეორე ნახევარში სათაურები უმეტესად ინფორმაციული და ნეიტრალური გახდა.

რუსთავი 2-ზე მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სიუჟეტები, რომელთა საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ იხრება, ეხება უმეტესად პრეზიდენტს, მთავრობას, პრემიერ-მინისტრს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და სულ რამდენიმე შემთხვევაში ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას. აქვე აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის შესახებ სიუჟეტებში ხშირადაა ნაჩვენები ტაში, სკანდირება და ზოგჯერ გამოყენებულია პოზიტიური მუსიკა, რაც დადებით ფონს ქმნის.

11 სექტემბრის სიუჟეტში, „ახალი პროექტები იმერეთში“, პრეზიდენტი საკმაოდ დადებითადაა წარმოჩენილი. სიუჟეტში ხშირადაა შევრებილი ხალხის კადრები, რომლებსაც უჭირავთ დროშები, უკრავენ ტაშს და სკანდირებენ პრეზიდენტის სახელს. ასევე, ნაჩვენებია კადრები, სადაც მოხუცი კაცი სააკაშვილს ჭურჭელს ჩუქნის, პრეზიდენტი ფოტოს იღებს ამომრჩევლებთან ერთად და ა.შ. იგივე სიუჟეტში პრეზიდენტი ხარაგაულში

ახლადამენებულ გაზსადენს ხსნის, ამ დროს ხელში ბავშვი უჭირავს და ერთად ანთებენ ცეცხლს. სიუჟეტის ბოლოს კი პრეზიდენტი მიდის ხალხთან, ესალმება ყველას და ხელს ართმევს მათ.³

იგივე გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი „სახელმწიფო დაზღვევა“, რომელიც საკმაოდ დადებითად წარმოაჩენს დავით ბაქრაძეს და სახელმწიფო დაზღვევის სისტემას. პარლამენტის თავმჯდომარე მოქალაქესთან მიდის სახლში და თავისი მანქანით, პირადად, მიჰყავს საავადმყოფოში. გზაში ისინი საუბრობენ სახელმწიფო დაზღვევაზე. ნაჩვენებია კადრები, როგორ ემსახურებიან მოქალაქეს საავადმყოფოში და ქალბატონიც კმაყოფილია.⁴

მაგალითად, 17 სექტემბრის სიუჟეტი „პრეზიდენტი სკოლებში“ დადებითად წარმოაჩენს მიხეილ სააკაშვილს, რომელიც მიდის სკოლებში და ულოცავს მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყებას. მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა განათლების ახალი სისტემის დადებით მხარეებზე, სკოლებისთვის ახალი კომპიუტერების გადაცემაზე და სხვა თემებზე, რაც მთლიანობაში დადებით შთაბეჭდილებას ქმნიდა მასზე და მთავრობაზე.

18 სექტემბრის სიუჟეტი „შაორის რეაბილიტაცია“ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს მიხეილ სააკაშვილზე. პრეზიდენტი პირადად უყრის საფუძველს ახალ სასტუმრო კომპლექსს. შეკრებილი ხალხი ტაშს უკრავს მას და სკანდირებენ. ჩანს, როგორ სკანდირებს პრეზიდენტის სახელს ბავშვი.

18 სექტემბრის სიუჟეტი „პრემიერ მინისტრი რაჭაში“ დადებითად წარმოაჩენს ვანო მერაბიშვილს. პრემიერი ხვდება სეტყვით დაზარალებულ გლეხებს და პირდება, რომ სახელმწიფო შეისყიდის დასეტყვილ ყურძენსაც კი. ამის შემდეგ, იგი მიემართება ერთ-ერთი ადგილობრივის ოჯახში და პირადად ანთებს იქ პირველად ახლადგაყვანილ გაზს. მოგვიანებით პრემიერ-მინისტრი მიდის ქახანაში და ხვდება საგზაო სამუშაოებზე დასაქმებულებს. ამასთანავე, ჟურნალისტი დადებითად აღწერს გაზიფიკაციის პროცესს, ქარხნის მუშაობასა და საგზაო სამუშაოებზე დასაქმებულების მდგომარეობას. ნაჩვენებია

³ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=7L96MfVgweo&feature=youtu.be>

⁴ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=hO6HclbiKW8&feature=youtu.be>

კმაყოფილი მოქალაქეები, რომელთაგან ერთ-ერთის თქმით, გაზის გაყვანა წლების მანძილზე მათი აუხდენელი ოცნება იყო.

18 სექტემბრის შემდეგ დადებით სიუჟეტებთან ერთად გაჩნდა რამდენიმე შედარებით უარყოფითი სიუჟეტი მთავრობაზე, რაც პატიმრების წამების ამსახველმა ვიდეო მასალამ განაპირობა. ასეთ სიუჟეტებში უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნიდა რესპოდენტების კომენტარები, ჟურნალისტის ტონი უმეტესად ნეიტრალური იყო. მაგალითად, 19 სექტემბრის სიუჟეტში „ოპოზიციის გამოხმაურება“ რესპოდენტების საუბრით უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება ხელისუფლებაზე, ნაციონალურ მოძრაობასა და სასჯელაღსრულების ყოფილ მინისტრ ხათუნა კალმახელიძეზე. ასევე, 19 სექტემბრის სიუჟეტში „არასამთავრობოების განცხადება“ რესპოდენტების საუბრით უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება შსს-სა და სასჯელაღსრულების სამინისტროს.

პატიმრების წამების ვიდეოს გავრცელებასა და ამის შემდეგ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ 18 სექტემბერს, როცა ეს ვიდეო გავრცელდა, სადამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვების პირველივე სიუჟეტი „სკანდალური საქმე“ შეეხო ციხეში წამების დაკვეთის თემას. სიუჟეტში მთავარი აქცენტი იყო არა თვითონ წამების ფაქტებზე, არამედ ყოფილი გენერლისა და პატიმრის თამაზ თამაზაშვილის სქემაზე, რომელიც „სოლიდური თანხის“ სანაცვლოდ უკვეთავდა ციხეში წამებას. სიუჟეტში ასევე ხაზგასმულია თამაზაშვილის კავშირი კოალიცია ქართულ ოცნებასთან.

ამავე დღის გამოშვებაში გავიდა სიუჟეტები პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის რეგიონებში ვიზიტების შესახებ („პრემიერმინისტრი რაჭაში“, „პრეზიდენტი ყულევში“, „შაორის რეაბილიტაცია“), რაც დადებით შთაბეჭდილებას ქმნიდა ხელისუფლებაზე (ზემოთ განხილულია მაგალითები); ასევე სიუჟეტი „დაპირისპირება ქართულ ოცნებაში“, რაც უარყოფითად წარმოაჩენდა ქართულ ოცნებას.⁵

მომდევნო დღეებში რუსთავი 2-მა გააშუქა ციხეებთან დაკავშირებული მოვლენები და ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები. 19 სექტემბრის გამოშვებაში მე-17

⁵ იხ. 18 სექტემბრის გამოშვებაში დღის მთავარი მოვლენების წარდგენა შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=GApV7O45_Dw&feature=youtu.be

სიუჟეტად გავიდა სიუჟეტი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებებზე. აღსანიშნავია, რომ 20 სექტემბრის გამოშვებაში ოთხჯერ გავიდა ერთი და იგივე შინაარსის სიუჟეტი, რომელიც ბაჩო ახალაიას განცხადებას ეხებოდა გადადგომის შესახებ. ოთხივე სიუჟეტის შემთხვევაში ჟურნალისტმა წაიკითხა ბაჩო ახალაიას განცხადება. რუსთავი 2-ზე აქცენტი გაკეთდა ხელისუფლების რეაქციაზე ამ ფაქტებთან დაკავშირებით. მაგალითად, 21 სექტემბრის სიუჟეტში „ჟურნალისტი გლდანის ციხეში“ ხაზგასმულია, რომ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ჟურნალისტებისთვის საპრობილის კარი გიორგი ტულუშმა გააღო. თავად ახალი სასჯელაღსრულების მინისტრი კი აღნიშნავს, რომ ციხეებში ამჟამად სიმშვიდეა და პატიმრებს აღარ ცემენ. სიუჟეტში მოყვანილია პატიმრების ახლობლების კომენტარებიც და ყველა მათგანი ამბობს, რომ გაესაუბრნენ თავიანთ ახლობლებს და ისინი ძალიან კარგად გრძნობენ თავს. მთლიანობაში სიუჟეტი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ გიორგი ტულუშმა სასწრაფო რეაგირება მოახდინა და ციხეებში უკვე დამშვიდებული სიტუაციაა. გაშუქდა საპროტესტო აქციებიც.

რუსთავი 2-ზე მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გასული უარყოფითი სიუჟეტები კოალიცია ქართულ ოცნებას ეხებოდა. მაგალითად, 14 სექტემბერს გასულ სიუჟეტში „სკანდალური ინტერვიუ“ ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ უარყოფით კონტექსტში არის წარმოჩენილი. წარმოდგენილია მის მიერ მიცემული ინტერვიუები სხვადასხვა უცხოური გამოშვებებისთვის. ყველა მათგანში ხაზია გასმული, თუ როგორ ღმობიერად მოიხსენიებს ივანიშვილი ვლადიმერ პუტინს და როგორ აკრიტიკებს მიხეილ სააკაშვილს. სიუჟეტში წარმოჩენილია სხვადასხვა პარტიების წევრები და ექსპერტები, რომლებიც აკრიტიკებენ ქართული ოცნების ლიდერს მსგავსი განცხადებებისთვის. ასევე, სიუჟეტში გამოყენებულია ინტერვიუ ორ რუს რესპონდენტთან, რომლებიც საუბრობენ რუსეთის დამოკიდებულებაზე საქართველოს მიმართ და შესაძლო სამხედრო ოპერაციაზე მისი მხრიდან. სიუჟეტში გამოყენებულია კადრები ვლადიმერ პუტინისა და დიმიტრი მედვედევის მონაწილეობით; ასევე, როგორ არბევენ მიტინგებს რუსეთში. მთლიანობაში სიუჟეტი საკმაოდ უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ბიძინა ივანიშვილზე.⁶

⁶ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=zLEuUsnzvws&feature=youtu.be>

სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებასთან, კადრებთან და რესპონდენტების კომენტარებთან ერთად ხანდახან ჟურნალისტების ტექსტიც ქმნის უარყოფით ფონს.

მაგალითად, 1 სექტემბრის სიუჟეტში „ივანიშვილის მუქარა“ ჟურნალისტი ამბობს: „ქართული ოცნების ლიდერი მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მასწავლებლებს გასამართლებით ემუქრება... განსასჯელი საჯარო მოხელეების სია ბიძინა ივანიშვილმა ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში კიდევ უფრო განავრცო. საარჩევნო სიის წარდგენის მიზნით გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე კოალიციის ლიდერმა პედაგოგებს მოსამართლეებიც დაამატა და განსასჯელის სკამზე მოხვედრა მათაც უწინასწარმეტყველა.“

სხვადასხვა მხარისა და მოსაზრების წარმოჩენის თვალსაზრისით მონიტორინგის პერიოდში სიუჟეტების უმეტესობა დაბალანსებულია. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში იმატა ისეთი სიუჟეტების შემთხვევებმა, რომელზეც რთულია ბალანსზე საუბარი, რადგანაც უმეტესად მხოლოდ ერთი მხარე ან წყაროა წარმოდგენილი და გაშუქებულია ერთი კონკრეტული პარტიის/სუბიექტის წინასაარჩევნო აქტივობა.

ავგისტოს მეორე ნახევრიდან რუსთავი 2-მა საინფორმაციო გადაცემაში დაიწყო პირდაპირი ჩართვების გაკეთება, სადაც იწვევენ ერთ ან რამდენიმე პოლიტიკოსს. ზოგჯერ ისინი დებატების ხასიათს ატარებენ. 1-21 სექტემბრის პერიოდში ამ ჩართვებს საშუალოდ 20 წუთი დაეთმო. რუსთავი 2-ზე მთლიანობაში 4 ასეთი პირდაპირი ჩართვა მოხდა და წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი სტუმრები: დავით ბაქრაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა/პარლამენტის თავჯდომარე), აკაკი მინაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ალექსი პეტრიაშვილი (კოალიცია ქართული ოცნება), დავით უსუფაშვილი (კოალიცია ქართული ოცნება), გიორგი ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) და ხათუნა კალმახელიძე (სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი).

ხათუნა კალმახელიძესთან პირდაპირი ჩართვა 18 სექტემბერს გაკეთდა. ჟურნალისტები მას უსვამდნენ როგორც ღმობიერ, ასევე მომთხოვნ კითხვებს. აღსანიშნავია, რომ ზაალ უდუმაშვილი უფრო მომთხოვნი იყო რესპოდენტისადმი, ვიდრე დიანა ჯოჯუა. მაგალითად, ზაალ უდუმაშვილმა კალმახელიძეს ჰკითხა: „ნიშნავს თუ არა ეს ვიდეომასალა, რომ

სასჯელადსრულების მუშაკთა ნაწილი წამსვლელია ასეთ ქმედებებზე, თუ მათ თანხას გადაუხდიან?“ ხათუნა კალმახელიძემ თავი აარიდა პასუხს. ამის შემდეგ, კი დიანა ჯოჯუა ამ თემიდან გადადის უფრო ლმობიერ კითხვაზე: „რა ზომები მიიღება ვიდეომასალაში დაფიქსირებული პირების წინააღმდეგ?“

სხვა შემთხვევებში პირდაპირი ჩართვების დროს ჟურნალისტი უმეტესად აცდის სტუმრებს აზრის გამოთქმას და მხოლოდ მაშინ აწყვეტინებს, როცა თემიდან გადახვევასა და დროის გადაჭარბებას აქვს ადგილი. ჟურნალისტის შეკითხვები სტუმრებისადმი ძირითად შემთხვევაში თანაბრად მომთხოვნია.

იმედი

იმედზე მონიტორინგის პერიოდში, განსხვავებით ყველა სხვა არხისგან, მონიტორინგის სუბიექტების ყველაზე ნაკლები რაოდენობა გაშუქდა. დათმობილი დროის მიხედვით, პირველ ადგილას მყოფ კოალიცია ქართულ ოცნებას, პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი წილი აქვს. დადებითი ტონით გაშუქების წილი, როგორც საერთო, ისე ჟურნალისტის შემთხვევაში, ჭარბობს პრეზიდენტის, მთავრობის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანების შემთხვევაში. კოალიცია ქართული ოცნება კი, უმეტესად უარყოფითი ტონით შუქდება. სიუჟეტებს ხშირად აქვს არანეიტრალური სათაურები. დადებითი სიუჟეტები ძირითადად პრეზიდენტზე, მთავრობასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზეა, ხოლო უარყოფითი სიუჟეტები - უმეტესად ბიძინა ივანიშვილზე და კოალიცია ქართულ ოცნებაზე. 18 სექტემბერს და მომდევნო დღეებში პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ იმედზე მომზადდა სიუჟეტები, რომლებშიც აქცენტი უფრო მეტად შსს-ს მიერ გახსნილ დანაშაულებრივ სექმაზე იყო. საინფორმაციო გამოშვების ჩართვებში, სადაც მონაწილეობას იღებენ პოლიტიკური ფიგურები და ექსპერტები, ჟურნალისტის მხრიდან შეინიშნებოდა გარკვეული ტენდენციურობა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ჟურნალისტი ზოგ სტუმარს საუბარს აწყვეტინებდა, ზოგის მიმართ განსაკუთრებით მკაცრი ან განსაკუთრებით ლმობიერი.

იმედზე მონიტორინგის პერიოდში სუბიექტებს ჯამში 9 საათი და 47 წუთი დაეთმო. აღსანიშნავია, რომ განსხვავებით ყველა სხვა არხისგან, იმედზე მონიტორინგის სუბიექტების ყველაზე ნაკლები რაოდენობა გაშუქდა. პირველ ხუთეულში მოხვდნენ კოალიცია ქართული ოცნება (25%), პრეზიდენტი (19%), მთავრობა (17%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (14%) და ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება (12%). დანარჩენ 5 სუბიექტს მთელი დროის 4 ან ნაკლები პროცენტი დაეთმოთ. (იხ. დიაგრამა Time 3)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ, დათმობილი დროის მიხედვით (1 საათი და 23 წუთი) პირველ ადგილას მყოფ კოალიცია ქართულ ოცნებას, პირდაპირი საუბრის წილის ყველაზე დაბალი, 37 პროცენტი აქვს. დანარჩენი სუბიექტებს, რომლებსაც 1-დან 21 სექტემბრის ჩათვლით არხზე 10 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, პირდაპირი საუბრის მინიმუმ 54 პროცენტი აქვთ. (იხ. დიაგრამა Speech 3)

რაც შეეხება ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილებას, რამდენიმე სუბიექტთან მიმართებაში გამოვლინდა დადებითი გაშუქების საკმაოდ დიდი წილი. ესენია: პრეზიდენტი (70%), მთავრობა (26%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (22%) და ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება (22%). უარყოფითი ტონის მხრივ, ყველაზე მაღალი პროცენტი დაფიქსირდა კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში - 40 პროცენტი, დათმობილი თითქმის 3 საათიდან. (იხ. დიაგრამა Tone 3)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, საერთო ტონის ტენდენცია მეორდება. ყველაზე მეტი დადებითი ტონით გაშუქება დაუფიქსირდა პრეზიდენტს (65% 34 წუთიდან), მთავრობას (22% 33 წუთიდან), ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას (11% 27 წუთიდან) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (27% 21 წუთიდან). უარყოფითი ტონის შესამჩნევად მაღალი მაჩვენებელი აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას (36%), რომელსაც ყველაზე მეტი დრო - თითქმის 1 საათი დაეთმო. (იხ. დიაგრამა Tone J3).

მონიტორინგის პერიოდში (1-21 სექტემბერი) იმედზე გასულ სიუჟეტებს ხშირად ჰქონდა არანეიტრალური სათაურები. უარყოფითი სათაურის მქონე სიუჟეტები უმეტესად ბიძინა ივანიშვილს ეხებოდა. მაგალითად, „ივანიშვილი და პედაგოგები: მუქარანარევი ოცნება“ (1 სექტემბერი), „ივანიშვილი და მოსამართლეები: მუქარანარევი ოცნება“ (1 სექტემბერი), „ხუნტის ჯალათი: ბრეგამე, ‘ოცნება’ და ჟორჟოლიანი“ (4 სექტემბერი), „პუტინის მსახური? Independent-ის სტატია ივანიშვილზე“ (8 სექტემბერი), „ივანიშვილის მორიგი მუქარა: ოცნების ლიდერი და ლაფანყურის სპეცოპერაცია“ (10 სექტემბერი), „ივანიშვილის ‘აქცენტები’ - რა უნდა ოცნების ლიდერს?“ (17 სექტემბერი), „პუერტო-რიკო და ივანიშვილი: ვინ იყიდა რეალურად ივანიშვილის კომპანია“ (18 სექტემბერი), „ოცნების თამაზაშვილი და დანაშაულებრივი გეგმა პატიმრებზე ძალადობის დაკვეთა“ (18 სექტემბერი).

მეორეს მხრივ, დადებითი სათაურის მქონე სიუჟეტების უმეტესობა პრეზიდენტსა და პრემიერმინისტრს უკავშირდებოდა: „გორის ციხის რეაბილიტაცია: პრემიერი გორში დაგემილ და მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო“ (1 სექტემბერი), „საგანმანათლებლო ინიციატივები: პრეზიდენტის შეხვედრა პედაგოგებთან - ახალი აუზი გლდანში“ (12 სექტემბერი), „გზის რეაბილიტაცია: სოფელ შრომაში მიმდინარე სამუშაოები პრეზიდენტმა დაათვალიერა“ (13 სექტემბერი), „ღიმილიანი საქართველო“ - პრეზიდენტი ნატანებში პროექტის მიმდინარეობას გაეცნო“ (13 სექტემბერი), „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვა: პრემიერი დასაქმების ბაზის შედგენის პროცესს დაესწრო“ (14 სექტემბერი), „განახლებული თელავი: პრეზიდენტი რეაბილიტირებულ ქალაქში“ (15 სექტემბერი), „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვა: დასაქმების მინისტრის მოადგილე ახალციხეში“ (15 სექტემბერი), „ახალი ქარხანა ყულევში: მშენებლობას საფუძველი პრეზიდენტმა ჩაუყარა“ (18 სექტემბერი), „პრემიერი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში: სოფლების გაზიფიცირება, რთველი და ყურძნის ჩაბარება“ (18 სექტემბერი), „პატიმრების ძალადობა დასაგმობია: უგულავას განცხადება“ (19 სექტემბერი), „ბინები სამხედრო მოსამსახურეებს: პრეზიდენტი და თავდაცვის მინისტრი „სამხედრო ქალაქში“ (20 სექტემბერი), „იუსტიციის სახლი თბილისში: სააკაშვილი - „იუსტიციის სახლი - გლდანის ციხის ანტითეზისი“ (21 სექტემბერი), „სტატია ფრანგულ გამოცემაში: ძალადობა ციხეებში - სააკაშვილი ახერხებს სკანდალის დამოშმინებას“ (21 სექტემბერი).

რაც შეეხება საერთო შთაბეჭდილებას, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ დადებითი სიუჟეტები ძირითადად პრეზიდენტზე, მთავრობაზე, ნაციონალურ მოძრაობასა და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზეა. უარყოფითი სიუჟეტები კი უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებასა და ბიძინა ივანიშვილზე.

მაგალითად, 5 სექტემბრის სიუჟეტი „რთველი და ყურძნის ჩაბარება“ ძალიან დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს მიხეილ სააკაშვილზე, რომელიც რთველზე სტუმრად ეწვია ერთ-ერთ ადგილობრივს და რთველში მიიღო მონაწილეობა. სიუჟეტში ნაჩვენებია ქალბატონი, რომელიც ვენახში მუშაობს და როდესაც პრეზიდენტი მას მისასალმებლად უახლოვდება ამბობს, რომ ხელები აქვს ჭუჭყიანი. რაზეც პრეზიდენტი ეუბნება: „ჭუჭყი რას ქვია, ვერ გავიგე... მშრომელი ხელები გაქვთ ჭუჭყიანი კი არა“ და კოცნის ხელზე. ნაჩვენებია, როგორ კრეფს პრეზიდენტი ყურძენს და შემდეგ სავსე ვედროები როგორ მიაქვს მანქანასთან დასაცლელად. რთველის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი მასპინძლებთან ერთად სადილობს, ამბობს სადღეგრძელოს და უსმენს სუფრის წევრებს, რომლებიც ყვებიან, თუ როგორ გაუმჯობესდა გაზისა და წყლის მიწოდება სოფელში. სიუჟეტის ბოლოს პრეზიდენტი მიდის ყურძნის ჩასაბარებელ ახლადგახსნილ ქარხანაში, თბილად ესალმება თანამშრომლებს და გამოხატავს კმაყოფილებას ქარხნის მუშაობასთან დაკავშირებით.⁷

12 სექტემბრის სიუჟეტში „პრემიერი დუშეთის რაიონში: მიმდინარე სამუშაოებისა და საოჯახო სასტუმროს დათვალიერება“, დადებითადაა გაშუქებული ვანო მერაბიშვილი. მართალია სიუჟეტში არ არის გამოყენებული ისეთი კადრები, სადაც პარტიული ატრიბუტიკა ჩანს ან ისმის ხალხის ოვაციები, თუმცა, ზოგადად სიუჟეტში ნაჩვენებია, როგორ კეთდება გაზსადენები, როგორ მუშაობენ მუშები. ასევე, მოყვანილია ადგილობრივი მაცხოვრებლის კომენტარი, რომელიც კმაყოფილია მიმდინარე სამუშაოებით. მერაბიშვილი ხვდება მოსახლეობას და აიძულებს მათ, რომ მალე გაზს შეიყვანენ. პრემიერი მუშებსაც ხვდება და ესაუბრება ჰესის მშენებლობაზე, რომ მიმდინარე სამუშაოები დამატებით სამუშაო ადგილებს უზრუნველყოფს მათთვის.

⁷ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=74WhYqpnOQY>

15 სექტემბრის სიუჟეტში „განახლებული თელავი: პრეზიდენტი რეაბილიტირებულ ქალაქში“⁸ მიხეილ სააკაშვილმა რეაბილიტირებული თელავი დაათვალიერა და მოსახლეობას შეხვდა. პრეზიდენტმა გასინჯა ადგილობრივის ღვინო, თქვა სადღეგრძელო და გადაიღო მოქალაქეებთან სურათები. პრეზიდენტი ათვალიერებდა განახლებულ სახლებს და გამოხატავდა თავის აღფრთოვანებას. მიხეილ სააკაშვილმა თელავის ქუჩები ღია ტურისტული ელექტრომობილით დაათვალიერა, გახსნა იუსტიციის სახლი თელავში და გაესაუბრა თანამშრომლებს, მონახულა განახლებული ნადიკვარის პარკი. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ გაოგნებულია რამდენად სწრაფად მოხდა სტიქიის შემდეგ თელავის აღდგენა, რადგან ამას ძალიან დიდი ქვეყანაც კი ვერ შეძლებდა. დადებით შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა ადგილობრივების კომენტარები პრეზიდენტისადმი „მიყვარხარ მიშა“, „გენაცვალე მიშა“ და სხვა.

1-21 სექტემბრის პერიოდში დაფიქსირდა სიუჟეტები, რომლებიც დადებით შთაბეჭდილებას ქმნიდა ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებაზე. მაგალითად, 1 სექტემბრის სიუჟეტი „ანიკაშვილი ვარკეთილში: ქდმ-ს მაჟორიტარობის კანდიდატი დაზღვევის პროგრამის ხარვეზებზე.“ აღსანიშნავია, რომ ეს სიუჟეტი რიგითობით მოსდევს საკმაოდ დადებით სიუჟეტს დაზღვევის ახალ პროგრამაზე და იწყება ჟურნალიტის ტექსტით, რომ ქრისტიან-დემოკრატები აკრიტიკებენ ამ პროგრამას, რაც თითქოს უარყოფითად წარმოარჩენს პარტიას. მიუხედავად ამისა, არის ნაჩვენები კადრები, როგორ მიდის მაგდა ანიკაშვილი სტუმრად მარტოხელა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთან და ისმენს მის აზრს დაზღვევასთან დაკავშირებით, რაც სიუჟეტს უფრო დადებითს ხდის ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ.⁹

18 სექტემბერს და მომდევნო დღეებში პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ იმედზე მომზადდა სიუჟეტები, რომლებშიც აქცენტი უმეტესად შსს-ს მიერ გახსნილ დანაშაულებრივ სქემაზე იყო. ეს სქემა გულისხმობს ძალადობის დაკვეთას და მის გადაღებას პატიმარ თამაზ თამაზაშვილის მიერ, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია კოალიცია ქართულ ოცნებასთან. ამ თემას 18 სექტემბერს ორი სიუჟეტი მიეძღვნა („ოცნების თამაზაშვილი და დანაშაულებრივი გეგმა: პატიმრებზე

⁸ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=NVR27y3zERw&feature=youtu.be>

⁹ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=nvFXHeDQDI4>

ძალადობის დაკვეთა¹⁰). 18 სექტემბრის და მომდევნო დღეების გამოშვებებში იმედმა გააშუქა საპროტესტო აქციები თბილისსა და რეგიონებში და პრეზიდენტის, პრემიერმინისტრის, პარლამენტის თავჯდომარისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების განცხადებები წამების ფაქტებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრების წამების ვიდეოების გავრცელების ფაქტთან დაკავშირებით რიგ სიუჟეტებში ხელისუფლების წარმომადგენლები უარყოფითად წარმოჩინდა, უმეტესად, რესპონდენტების საუბრის ხარჯზე, პარალელურად გადიოდა სიუჟეტები პრეზიდენტის, პრემიერმინისტრის, მთავრობისა და მმართველი პარტიის წევრების ვიზიტებისა და ღონისძიებების შესახებ, საიდანაც ამ სუბიექტებზე დადებითი შთაბეჭდილება რჩებოდა.

მაგალითად, 19 სექტემბრის სიუჟეტში „ივანიშვილის განცხადება: პატიმართა ძალადობის ფაქტები - ბრალდება ხელისუფლებას“ ბიძინა ივანიშვილი უარყოფითად საუბრობს ხელისუფლებაზე. იმავე დღის გამოშვებაში სიუჟეტში „თარგამაძე პატიმართა ძალადობის ფაქტებზე: მორალურად დეგრადირებული დამნაშავეები“ უარყოფითად საუბრობს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე. 19 სექტემბრის სიუჟეტი „ჩახვამე ძალადობის ფაქტებზე პასუხისმგებლობას სააკაშვილს და ივანიშვილს აკისრებს“ გურამ ჩახვამე უარყოფითად საუბრობს მთავრობაზე და აღნიშნავს, რომ პასუხისმგებელნი არიან როგორც მინისტრები, ასევე მთლიანად ხელისუფლება.

ხოლო 18 სექტემბრის სიუჟეტი „ტურისტული კომპლექსი შაორზე: მშენებლობას საფუძველი პრეზიდენტმა ჩაუყარა“ დადებითად წარმოაჩენს საქართველოს პრეზიდენტს. გაშუქებულია ტურისტული კომპლექსის გეგმა, მაკეტები და ლამაზი ხედები. პრეზიდენტი საფუძველს უყრის აღნიშნულ კომპლექსს, პარალელურად ხალხი სკანდირებს და ტაშს უკრავენ მიხეილ სააკაშვილს.

ქრონიკაში მონიტორინგის მოცემულ პერიოდში (1-21 სექტემბერი) გასული უარყოფითი სიუჟეტები უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებას, მის წევრებსა და ბიძინა ივანიშვილს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი სიუჟეტების უმრავლესობა ხაზს უსვამს კოალიცია

¹⁰ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=ZhDxrLkOdfs&feature=youtu.be>

ქართული ოცნების ლიდერის კავშირებს რუსეთთან, კონკრეტულად კი, ვლადიმერ პუტინთან.

მაგალითად, 12 სექტემბრის სიუჟეტში „ქართული დემოკრატია და რუსული ჩარევა“ ნეგატიურად არის წარმოჩენილი ბიძინა ივანიშვილი და ზოგადად კოალიცია ქართულ ოცნება. სიუჟეტი აგებული ესტონეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებაზე, რომელიც The Wall Street Journal-ში დაიბეჭდა. ჟურნალისტის თქმით, ესტონელი პოლიტიკოსი ბიძინა ივანიშვილს თავის განცხადებებში პრორუსულ ძალად მოიხსენიებს და მას საქართველოში პუტინის ინტერესების გატარებაში ადანაშაულებს. აღსანიშნავია, რომ განცხადების ინგლისური ტექსტი, რომელიც ეკრანზე ჩანს, არ ემთხვევა ჟურნალისტის მიერ პარალელურად წაკითხულ ქართულ ვერსიას. სიუჟეტში მოყვანილი რესპონდენტები, ექსპერტები და პოლიტიკოსები, უარყოფითად საუბრობენ ბიძინა ივანიშვილზე. ისინი ასევე საუბრობენ რუსეთის შესაძლო გეგმებზე საქართველოსთან დაკავშირებით, რაც სიუჟეტის მთლიანი კონტექსტიდან გამომდინარე მაყურებელს ბიძინა ივანიშვილისა და პუტინის კავშირზე აფიქრებინებს. სიუჟეტში რამდენჯერმე გამოყენებული ვლადიმერ პუტინის კადრები. ერთ-ერთ მათგანში, სადაც იგი ქართველი ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე, უცვლელი იქნება თუ არა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მომავალი 6 წლის განმავლობაში, კითხვითვე პასუხობს: „არ ვიცი. როდისაა არჩევნები საქართველოში?“. ეს მონაკვეთიც მაყურებლებს ირიბად აფიქრებინებს პუტინის ინტერესზე ივანიშვილთან დაკავშირებით.¹¹

17 სექტემბრის სიუჟეტი „ივანიშვილის ‘აქცენტები’ - რა უნდა ოცნების ლიდერს?“ უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ბიძინა ივანიშვილზე. სიუჟეტი 25 წუთს გრძელდება და ეფუძნება ეკა კვესიტაძის თოქ-შოუ „აქცენტების“ ერთ-ერთ გამოშვებას, სადაც სტუმრად იმყოფებოდა ბიძინა ივანიშვილი. სიუჟეტი აგებულია კოალიციის ლიდერის ინტერვიუს რამდენიმე ასპექტზე და იწყება ჟურნალისტის საუბრით ბიძინა ივანიშვილზე და მის დამოკიდებულებაზე ვლადიმერ პუტინის მიმართ, პარალელურად კი ფონად გადის 2008 წლის ომის კადრები. გადაცემის წამყვანი ხაზს უსვამს, რომ ივანიშვილი დიდ დროს უთმობს რუსეთსა და პუტინზე საუბარს. ასევე ივანიშვილის მიერ გადაცემაში დაფიქსირებულ აზრს

¹¹ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=btr2bPGcQ&feature=youtu.be>

თან სდევს არქივიდან ამოღებულ კადრებს, რაც ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს. სიუჟეტში ასევე ხაზგასმულია, რომ კოალიციის ლიდერს ურჩევნია შევარდნაძისა და აბაშიძის რეჟიმი. ამ არგუმენტს მოჰყვება იმედის მიერ ჩატარებული ქუჩის გამოკითხვა იმაზე, თუ რომელ რეჟიმს ანიჭებენ მოქალაქეები უპირატესობას - აბაშიძე/შევარდნაძის თუ ამჟამინდელი. აღსანიშნავია, რომ მომდევნო ორი სიუჟეტიც იგივე თემას ეხება: „ივანიშვილის „აქცენტები“: პოლიტიკური შეფასება“ და „ივანიშვილის „აქცენტები“: Facebook კომენტარები“. ამ სიუჟეტებს კი მოსდევს თოქ-შოუ, რომელიც კვლავაც ამ თემას განიხილავს - „ივანიშვილის „აქცენტები“: დისკუსია „ქრონიკის“ ეთერში“.¹²

სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, მონიტორინგის ამ პერიოდში ჭარბობს ისეთი სიუჟეტები, რომელთა შეფასება ბალანსის მხრივ რთულია. შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი დაუბალანსებელი სიუჟეტები.

აგვისტოს მეორე ნახევრიდან იმედმა საინფორმაციო გამოშვებაში დაიწყო პირდაპირი ჩართვების გაკეთება. 1-დან 21 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში იმედზე გასულ საინფორმაციო გამოშვებების გადაცემებში სულ 5 ასეთი ჩართვა მოხდა და მათ საშუალოდ 20 წუთი დაეთმო. აღნიშნულ ჩართვებში შემდეგი სტუმრები იყვნენ წარმოდგენილი: ზურაბ ჭიაბერაშვილი (ჯანდაცვის მინისტრი), დავით საყვარელიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), შოთა ხაბარელი (კოალიცია ქართული ოცნება), მაგდა ანიკაშვილი (ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება) და ჩიორა თაქთაქიშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ია ანთაძე (მედია ექსპერტი), დავით პაიჭაძე (ჟურნალისტი), ვასილ ჭყოიძე (ევროპული ინტეგრაციის კვლევის ცენტრის პრეზიდენტი), ლევან ჩოლოყაშვილი (ექსპერტი), გიორგი ტულუში (სასჯელაღსრულების მინისტრი).

ჩართვების დროს ჟურნალისტი ძირითადად აცდის სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას და მხოლოდ ჩაკითხვის მიზნით აწყვეტინებს საუბარს ან იმ შემთხვევაში, თუ რესპოდენტი სასაუბრო თემას სცდება. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ჟურნალისტი

¹² იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=N2aVRC4Loc4>

აწვევები ებოძა ზოგ სტუმარს საუბარს, ზოგის მიმართ განსაკუთრებით მკაცრი იყო, ან განსაკუთრებით ლმობიერი.

აღსანიშნავია 7 სექტემბრის გადაცემაში გამართული დებატები, როდესაც სტუმრები იყვნენ დავით საყვარელიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) და შოთა ხაბარელი (კოალიცია ქართული ოცნება). ჟურნალისტის კითხვები მეტი სიმკაცრით გამოირჩეოდა კოალიცია ქართული ოცნების წევრის, ოთარ ხაბარელის, მიმართ. როდესაც ერთ-ერთ კითხვაზე სტუმარმა თავის არიდება სცადა, ჟურნალისტმა სამჯერ დაჟინებით მოითხოვა მისგან პასუხი. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატის მიმართ დასმული კითხვებიც კოალიცია ქართულ ოცნებას ეხებოდა. ბოლო ნაწილში თვალში საცემია ჟურნალისტისა და დავით საყვარელიძის ირონიული დამოკიდებულება შოთა ხაბარელის მიმართ.¹³

13 სექტემბერს გადაცემაში სტუმრად იყვნენ მაგდა ანიკაშვილი (ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება) და ჩიორა თაქთაქიშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა). მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი მათგანი არ არის კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენელი, ჟურნალისტი ბოლოს ორივე რესპონდენტს ეკითხება კოალიციის სავარაუდო დაშლის შესახებ. როდესაც მაგდა ანიკაშვილმა პასუხისგან თავის არიდება სცადა და ისევ საკუთარი პარტიის პროგრამაზე საუბარი განაგრძო მიზეზით, რომ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა არ გამოირჩევა სხვა პარტიებზე „ჭირაობით“, ჟურნალისტმა შეაწვეტინა მას საუბარი და სთხოვა ქართულ ოცნებასთან დაკავშირებით გაეკეთებინა კომენტარი.

17 სექტემბერს ჩართვის ერთ-ერთი სტუმარი იყო ია ანთაძე და წამყვანი მას აწვევები ებოძა საუბარს. მაგალითად, როცა ია ანთაძე საუბრობს იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილმა ზუსტად არ იცოდა მედია მონიტორინგის შედეგები, ჟურნალისტი აწვევები ებოძა მას და ეუბნება, რომ „აღბათ, ეს ინფორმაცია უნდა ჰქონოდა ბიძინა ივანიშვილს, მინიმუმ პრესსამსახურიდან...“. წამყვანის მიერ დასმულ კითხვებში იგრძნობოდა ჟურნალისტის დამოკიდებულება საკითხთან მიმართებაში. მაგალითად, პირველივე შეკითხვა, რომელიც ია ანთაძეს

¹³ იხ. ნაწვევტი ჩართვიდან შემდეგ ბმულზე:
<http://www.youtube.com/watch?v=ZfjEB2swshs&feature=youtu.be>

ჟურნალისტმა დაუსვა ასეთია: „როგორ შეაფასებდით ივანიშვილის გუმინდელ ინტერვიუს, რომელშიც ოცნების ლიდერმა ნაკლებად ისაუბრა არჩევნებამდე 2 კვირით ადრე პარტიის საარჩევნო პრიორიტეტებზე, მაგალითად, ეკონომიკურ და სხვა სოციალურ საკითხებზე და ძირითადად, გლობალური პოლიტიკის საკითხებს და ხელისუფლების კრიტიკას დაუთმო ეს დრო?“

მაესტრო

1-21 სექტემბრის პერიოდში მაესტროზე მონიტორინგის სუბიექტებს სულ 5 საათი და 14 წუთი დაეთმო. გამოკვეთილად მეტი დრო დაეთმო პირველ ოთხეულში მოხვედრილ სუბიექტებს: მთავრობას, კოალიციას ქართული ოცნებას, ერთიანი ნაციონალური მოძრაობასა და პრეზიდენტს. პირდაპირ და ირიბ საუბარზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ იმ სუბიექტებს შორის, რომლებსაც მონიტორინგის პერიოდში მაესტროზე 8 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, უმეტეს შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი თანაბრად არის გადანაწილებული. დადებითი ტონით გაშუქება ორი სუბიექტის შემთხვევაში ჭარბობს, ესენია: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი. თუმცა, ეს მხოლოდ საერთო ტონში აისახება და არა ჟურნალისტის ტონში. რაც შეეხება უარყოფით ტონს, როგორც საერთო ისე ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში, უარყოფითად შექედებიან მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი. მაესტროზე სიუჟეტებს უმეტესად აღწერილობითი და ნეიტრალური სათაურები აქვს. თუმცა, შეინიშნება კრიტიკული და უარყოფითი შინაარსის მქონე სათაურები ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, ისევე, როგორც თვითონ სიუჟეტების შინაარსი. 18 სექტემბერს პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალის გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა ასეთი სიუჟეტები. 18, 19, 20 და 21 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვებების დიდი ნაწილი სწორედ ამ თემას ეხებოდა და მასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი იქნა განხილული.

მაესტროზე მონიტორინგის განმავლობაში, 1-21 სექტემბერი, სუბიექტებს სულ 5 საათი და 14 წუთი დაეთმო. გამოკვეთილად მეტი დრო დაეთმო პირველ ოთხეულში მოხვედრილ სუბიექტებს: მთავრობას - 23 პროცენტი, კოალიცია ქართული ოცნებას - 21 პროცენტი, ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას - 17 პროცენტი და პრეზიდენტს - 15 პროცენტი. დანარჩენ სუბიექტებს კი 5 ან ნაკლები პროცენტი ერგოთ. (იხ. დიაგრამა Time 4)

პირდაპირ და ირიბ საუბარზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ იმ სუბიექტებს შორის, რომლებსაც მონიტორინგის პერიოდში მაესტროზე 8 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, უმეტეს შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი თანაბრად არის გადანაწილებული. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მთავრობა, საერთაშორისო ორგანიზაციები და ქრისტიანულ-დემოკრატიული გაერთიანება. მთავრობას, რომელსაც არხზე ყველაზე მეტი დრო, 1 საათი და 12 წუთი დაეთმო, პირდაპირი საუბრის ყველაზე ნაკლები წილი, 23 პროცენტი აქვს. ამდენივე, 23 პროცენტი, პირდაპირი საუბრის წილი აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათთვის დათმობილი თითქმის 15 წუთიდან. რაც შეეხება პირდაპირი საუბრის ყველაზე დიდ წილს, ასეთი განაწილება ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას აქვს - დათმობილი 8 წუთიდან, 72 პროცენტის შემთხვევაში ჰქონდა საშუალება პირდაპირ ესაუბრა. (იხ. დიაგრამა Speech 4)

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, მაესტროზე დადებითი ტონით გაშუქების საკმაოდ დიდი წილი მხოლოდ ორი სუბიექტის შემთხვევაში დაფიქსირდა. ესენია: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (32%) და პრეზიდენტი (28%). აღსანიშნავია, რომ ეს ძირითადად გამოწვეულია წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის ამომრჩეველთან შეხვედრების გაშუქებით. უარყოფითი ტონის ყველაზე დიდი წილი კი მთავრობას აქვს (31%). უარყოფითი ტონი სხვა რამდენიმე სუბიექტსაც დაუფიქსირდა: პრეზიდენტს - 17%, ერთიანი ნაციონალური მოძრაობას - 14%, კოალიცია ქართული ოცნებას - 8%. (იხ. დიაგრამა Tone 4)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, აქ სამი სუბიექტის მიმართ ჭარბობს უარყოფითი ტონი. ესენია: მთავრობა (27%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (24%), და პრეზიდენტი (14%). ჟურნალისტის მხრიდან სუბიექტის დადებითი ტონით გაშუქება ძალიან იშვიათია -

პრეზიდენტს დაუფიქსირდა დადებითი ტონის 8 პროცენტი და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 5 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J4)

მაესტროზე სიუჟეტებს უმეტესად აღწერილობითი და ნეიტრალური სათაურები ჰქონდა. თუმცა, შეინიშნება მთავრობის, პრეზიდენტის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ნაციონალური მოძრაობის მიმართ კრიტიკული შინაარსის მქონე სათაურები, რაც უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ამ სუბიექტებზე. მაგალითად:

„საფლავები სოფელ დუისში: პანკისის ხეობის მოსახლეობის თქმით, სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულთა შორის დუისის მცხოვრებლები არიან“ (1 სექტემბერი), „ნაციონალების სია აჭარაში: რატომ გადაეცა სიის მესამე ნომერს, ირაკლი კვერელიძეს კომპანიის 11 ათასი კვადრატული მეტრი აუქციონის გარეშე“ (3 სექტემბერი), „პატიმრების ხმები - ნანა კაკაბაძე: კალმახელიძის უწყება 'ნაცმოძრაობისთვის' ხმების მობილიზებას პატიმრების, პრობაციონერების და მათი ოჯახის წევრების მეშვეობით აპირებს“ (11 სექტემბერი), „სოფლის განვითარების პროგრამა: მოსახლეობა გაზს და წყალს ითხოვს, პროგრამით კი მინი სტადიონები და მოსახდელები აშენდა“ (12 სექტემბერი), „საგარეო ვალი: სახელმწიფო საგარეო ვალი ერთ თვეში 118 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა“ (13 სექტემბერი), „ფასანაურის გაზიფიცირება; ტრიპოლსკის განცხადებით ადგილობრივ ხელისუფლებას მათ ოჯახში გაზი არ შეჰყავს“ (15 სექტემბერი), „ჩამორთმეული ქონება: ბიზნესმენის დეველოპერული ბიზნესი საბოლოოდ სახელმწიფოს ბალანსზე გადავიდა“ (17 სექტემბერი), „თავისუფალი ინდუსტრიული ზონები: პრეზიდენტი ფოთის მნიშვნელობაზე კიდევ ერთხელ საუბრობს, ეკონომისტები კი მას შეუსრულებელ დაპირებებს ახსენებენ“ (18 სექტემბერი).

მაესტროზე 1-21 სექტემბრის პერიოდში გასული სიუჟეტების დიდი ნაწილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, პრეზიდენტისა და მთავრობის მიმართ უარყოფით და კრიტიკულ საერთო შთაბეჭდილებას ტოვებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ეს უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება რესპონდენტების კომენტარების შედეგად და არა ჟურნალისტის ტექსტებით ან კადრებით. 18 სექტემბერს გამოქვეყნებული პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალის გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა ასეთი უარყოფითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები.

მაგალითად, 4 სექტემბრის სიუჟეტში, „პრეზიდენტის მოწოდება - მიხეილ სააკაშვილი: ქუთაისის აეროპორტი მიგახრჩობთ, სანამ არ დაუწევთ ფასებს“, აქცენტი კეთდება პრეზიდენტის ტერმინოლოგიაზე და მის საუბრის ტონზე. ჟურნალისტის თქმით, ექსპერტები პრეზიდენტის გამოსვლას აფასებენ, როგორც მუქარას ბიზნესმენებისადმი. ასევე, ნეგატიურ შეფასებებს აკეთებენ სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტები. ყოველივე ეს კი უარყოფით შთაბეჭდილებს უტოვებს მაყურებელს პრეზიდენტის მიმართ.¹⁴

7 სექტემბრის სიუჟეტი, „ამომრჩეველთა მოსყიდვა? ქვემო ჭალის მოსახლეობის ცნობით გიორგი კარბელაშვილმა სუფრა საკუთარი ხარჯებით გაშალა“, მოგვითხრობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ვაკის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატის, გიორგი კარბელაშვილი შესახებ, რომელმაც ქვემო ჭალაში სუფრა გაუშალა ადგილობრივებს. მას ჟურნალისტის თქმით ამომრჩევლების მოსყიდვაში ადანაშაულებენ. სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტები, რომლებიც სოფლის მაცხოვრებლები არიან, ადასტურებენ აღნიშნულ ფაქტს. სიუჟეტში, ასევე, მოყვანილია თავად კარბელაშვილის კომენტარი ამასთან დაკავშირებით, რომელიც უარყოფს ამას და ამბობს რომ თავად ადგილობრივმა მოსახლეობამ გაშალა სუფრა. სიუჟეტში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ შესაძლო მოსყიდვის ფაქტზე.

11 სექტემბრის სიუჟეტში „პატიმრების ხმები - ნანა კაკაბაძე: კალმახელიძის უწყება "ნაცმოძრაობისთვის" ხმების მობილიზებას პატიმრების, პრობაციონერების და მათი ოჯახის წევრების მეშვეობით აპირებს" უარყოფითადაა წარმოჩენილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. სიუჟეტი აგებულია გაზეთი „რეზონანსი“-ს სტატიაზე, რომლის მიხედვითაც ირღვევა საარჩევნო კანონი - სამინისტრო პატიმრებს ოჯახის წევრების პირადობის მოწმობებს და პრობაციონერებს - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა სიის მიტანას სთხოვს.

მაესტროზე 18 სექტემბერს და მომდევნო დღეებში გავრცელებული პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალა აქტიურად გაშუქდა. 18 სექტემბრის გამოშვება დაიწყო მაესტროს

¹⁴ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=0WTCmePEYi8&feature=youtu.be>

ექსკლუზივით, სადაც ნაჩვენები იყო ციხის თანამშრომლების მხრიდან პატიმრების ცემის ამსახველი ვიდეო მასალა. 19 სექტემბრის სიუჟეტში - „პატიმრების წამების ამსახველ ვიდეოს მეცხრე არხი ავრცელებს“ კი, ნაჩვენებია არასრულწლოვანი პატიმრის წამების კადრები.

18, 19, 20 და 21 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვებების დიდი ნაწილი სწორედ ამ თემას ეხებოდა და მასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი იქნა განხილული. ცალკე სიუჟეტებად იყო ნაჩვენები აღნიშნული ვიდეო ჩანაწერები. გაშუქდა საპროტესტო აქციები და მათი მიმდინარეობა, მინისტრების გადადგომა და ახალი მინისტრების დანიშვნა, საერთაშორისო რეზონანსი და სხვა. ასევე, ნაჩვენები და მოთხრობილი იყო სხვა პატიმრების წამების, ცემის და გარდაცვალების ისტორიები, რომლებსაც ამ პატიმრების ახლობლები ყვებიან. სიუჟეტების უმეტესობა კრიტიკული და უარყოფითი შინაარსის შემცველი იყო არსებული მთავრობისა და ხელისუფლების მიმართ.

19 სექტემბრის სიუჟეტი, „შემზარავი კადრები და არსებული სტატისტიკა: ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არსებულმა სტატისტიკამ და კადრებმა ყველა შეძრა“, უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტსა და ხელისუფლებაზე. რესპონდენტი მურმან დუმბაძე, ყვება თუ როგორ მოექცნენ მას 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ. ნაჩვენებია ფოტო მასალა, რომელზეც სხვა პატიმრების სხეულზე აღბეჭდილი წამების კვალი ჩანს. ციხეში გაუსაძლის პირობებზე საუბრობენ გარდაცვლილი პატიმრების ახლობლები და ნათესავები. სიუჟეტის ბოლოს მოყვანილია სააკაშვილის ძველი განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ პრეზიდენტი, რომელიც შესაბამის ზომებს არ იღებს, როდესაც რიგითი პოლიციელი რაიმე უკანონობას სჩადის, და ეს მთელი ქვეყნისთვისაა ცნობილი, მაშინ ის „ნაძირალაა.“¹⁵

აღსანიშნავია, რომ მაესტრომ გააშუქა რამდენიმე ისეთი თემა, რომელიც პირველ არხს, რუსთავი 2-სა და იმედს არ გაუშუქებია. მაგალითად, 19 სექტემბრის სიუჟეტი „დათა ახალაია პატრიარქთან: თავდაცვის მინისტრის მოადგილე პატრიარქს შეხვდა“, და „ახალი დეტალები: ვლადიმერ ბედუკაძე ვიდეომასალის შემკვეთად ბაჩო ახალაიას ასახელებს“; 20 სექტემბრის სიუჟეტი „სად არის ბაჩო ახალაია? შსს-ს მინისტრის ადგილსამყოფელი უცნობია“. ასევე

¹⁵ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=5uECydi50m8&feature=youtu.be>

გაშუქდა რამდენიმე ისეთი შემთხვევა, როდესაც განვითარებული მოვლენების შემდეგ, მმართველი გუნდის წევრები კოალიცია ქართულ ოცნებას შეუერთდნენ.

20 სექტემბრის სიუჟეტში „საჯარო მოხელეთა პროტესტი: ციხეებში პატიმართა წამების გამო პროტესტის ნიშნად თანამდებობა რამდენიმე ადამიანმა დატოვა“ ნაჩვენებია კადრები, თუ როგორ იხდის როლანდ ახალაიას შტაბის წევრი ნაციონალური პარტიის მაისურს და კოალიცია ქართული ოცნების სიმბოლოიან მაისურს იცმევს. აქვე აღნიშნავენ, რომ მასთან ერთად ასე რამდენიმე სხვა წევრიც მოიქცა. არის თვითონ რამაზ შენგელიას ინტერვიუც, სადაც ის ამბობს, რომ გამოქვეყნებული კადრების შემდეგ მას აღარ სურს ამ პარტიაში დარჩენა. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორს უნდა ესაუბრა იმაზე, თუ როგორ ახდენენ მმართველი გუნდის წევრები ამომრჩევლებზე ზეწოლას, თუმცა თავად გახდა ზეწოლის მსხვერპლი და ვეღარ ისაუბრა აღნიშნულ თემაზე.¹⁶

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ამ პერიოდის პირველ 2 კვირაში (1-14 სექტემბერი) მაესტროზე გავიდა სიუჟეტები, სადაც პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დადებითად იყო გაშუქებული. ამ კუთხით აღსანიშნავია 8 სექტემბრის გამოშვება, რომელიც დაიწყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყრილობის პირდაპირი ჩართვით სპორტის სასახლიდან. ჩართვა 12 წუთი გაგრძელდა. საკმაოდ ვრცლად არის ნაჩვენები დავით ბაქრაძის გამოსვლა, შემდეგ კი ვანო მერაბიშვილის მიმართვა. ჩართვა საკმაოდ დადებითია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ. იგივე გამოშვების ბოლოს ისევ რთავენ სპორტის სასახლეს 8 წუთით, სადაც ხალხს მიხეილ სააკაშვილი მიმართავს. ესეც საკმაოდ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაესტროზე სიუჟეტები წარმოდგენილი რესპონდენტებისა და განსხვავებული მოსაზრებების მხრივ ძირითად შემთხვევებში დაბალანსებულია. თუ ბალანსი არ არის დაცული, ხშირად ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ კონკრეტულმა რესპონდენტებმა უარი განაცხადეს კომენტარზე. მონიტორინგის ამ პერიოდში გვხვდება ისეთი სიუჟეტებიც, რომელთა შეფასება ბალანსის მხრივ რთულია.

¹⁶ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=FrAuObyWjiU&feature=youtu.be>

კავკასია

კავკასიაზე სუბიექტებს ჯამში 6 საათი და 17 წუთი დაეთმო. ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას. თუმცა, თუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტისთვის დათმობილ დროს შევკრებთ, მაშინ, კოალიცია ქართულ ოცნებასა და მმართველ გუნდს შორის მხოლოდ სამ პროცენტია განსხვავება იქნება. იმ სუბიექტებიდან, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი თითქმის თანაბრადაა განაწილებული. სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურად არიან გაშუქებული. ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება უმეტესად ნეიტრალურ სურათს ქმნის. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი სიუჟეტები მთავრობაზე, პრეზიდენტსა და ხელისუფლებაზე უფრო გახშირდა 18 სექტემბერს პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალის გავრცელების შემდეგ. თუმცა, მონიტორინგის პირველ ნახევარში (1-14 სექტემბერი), იყო სიუჟეტები, სადაც პრეზიდენტზე დადებითი შთაბეჭდილება რჩებოდა.

1-დან 21 სექტემბრის ჩათვლით კავკასიაზე სუბიექტებს ჯამში 6 საათი და 17 წუთი დაეთმო. ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას (25%). მეორე ადგილას არის მთავრობა 16 პროცენტით. დათმობილი დროის მიხედვით მომდევნო 2 სუბიექტის მაჩვენებელი ერთნაირია: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (11%) და პრეზიდენტი (11%). საინტერესოა, რომ თუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტისთვის დათმობილ დროს შევკრებთ, რადგან პრეზიდენტი ხშირად პარტიის სახელით გამოდის და წინასაარჩევნო კამპანიას ეწევა, მაშინ, კოალიცია ქართულ ოცნებასა და მმართველ გუნდს შორის მხოლოდ სამ პროცენტია განსხვავება იქნება. (კოალიცია ქართული ოცნება - 25 პროცენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 22 პროცენტი.) სხვა სუბიექტებს 8 პროცენტი და ნაკლები დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 5)

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილების მიხედვით აღსანიშნავია, რომ იმ სუბიექტებს, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, უმეტეს შემთხვევაში, პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი თითქმის თანაბრადაა განაწილებული. პირდაპირი საუბრის ყველაზე მცირე წილი, 28 პროცენტი, მთავრობის შემთხვევაში დაფიქსირდა. ყველაზე დიდი კი - პარტია კახა კუკავა-თავისუფალი საქართველოს შემთხვევაში (72%). (იხ. დიაგრამა Speech 5)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ კავკასიაზე სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურადაა გაშუქებული. ყველაზე მეტი დადებითი ტონი პრეზიდენტის გაშუქებისას დაფიქსირდა, 27 პროცენტი - დათმობილი 42 წუთიდან. მცირე პროცენტული მაჩვენებლებით დადებითად ასევე გაშუქდნენ კოალიცია ქართული ოცნება (6%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (8%), ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება (10%). უარყოფითი ტონი ძირითადად 4 სუბიექტის შემთხვევაში გამოვლინდა. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი დაფიქსირდა მთავრობის (21% 1 საათიდან) შემთხვევაში. უარყოფითად გაშუქდნენ ასევე ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (16%), პრეზიდენტი (14%) და კოალიცია ქართული ოცნება (7%). (იხ. დიაგრამა Tone 5)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება უმეტესად ნეიტრალურ სურათს ქმნის. ნეიტრალური ტონის პროცენტული მაჩვენებელი ყველა შემთხვევაში 82 პროცენტზე მაღალია. მთავრობისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში დაფიქსირდა უარყოფითი ტონის შედარებით დიდი წილი (14 და 11 პროცენტი). (იხ. დიაგრამა Tone J5).

მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში კავკასიაში სიუჟეტებს სათაურები არ აქვს, ამიტომ მათზე დაკვირვება ვერ ხერხდება.

სიუჟეტებში სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალური ზოგადი შთაბეჭდილება რჩება. თუმცა, ასევე, არის სიუჟეტები, სადაც საერთო შთაბეჭდილება ამა თუ იმ სუბიექტზე იხრება უფრო დადებითისკენ ან უარყოფითისკენ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ზოგადი შთაბეჭდილების უარყოფითისკენ გადახრა უფრო მეტად შეინიშნება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის,

ხელისუფლებისა და მთავრობის მიმართ. ამ შთაბეჭდილებას უმეტესად ქმნის სიუჟეტებში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარები.

11 სექტემბრის სიუჟეტი ეხება იმ ზარალს, რომელიც მოსახლეობამ ნახა ჰიბრიდული სიმიინდის მოსავლის გამო. სიუჟეტში უარყოფით შთაბეჭდილებას აძლიერებს არქივიდან გამოყენებული 2011 წლის პრეზიდენტის გამოსვლის კადრები, რომელიც მოსახლეობას დახმარებას ჰპირდება. სიუჟეტში ნაჩვენებია უკმაყოფილო ადგილობრივების კომენტარებიც.

უარყოფითი სიუჟეტები მთვრობაზე, პრეზიდენტსა და ხელისუფლებაზე შედარებით უფრო გახშირდა 18 სექტემბერს პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალის გავრცელების შემდეგ. 18 სექტემბერს კავკასიაზე პირველ სიუჟეტად გავიდა გავრცელებული პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალა. 19, 20 და 21 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვებებში კი ძირითადი თემა გავრცელებული ჩანაწერები, მასთან დაკავშირებული საპროტესტო აქციები და ამაზე გამოხმაურება იყო. ამ დღეებში გაშუქდა ისეთი თემები, როგორცაა გლდანის ციხეში არსებული მდგომარეობა, საპროტესტო აქციები თბილისსა და რეგიონებში, საერთაშორისო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოხმაურება, ახალი სასჯელაღსრულების მინისტრის დანიშვნა.

მაგალითად, 19 სექტემბრის პირველივე სიუჟეტში უარყოფითადაა გაშუქებული მთავრობა. სიუჟეტში საუბარია მინისტრების პასუხისმგებლობაზე, ახალიას გადაყენებაზე და ა.შ. სიუჟეტში არსებული რესპონდენტებიდან ყველა უკმაყოფილებას გამოხატავს, ზოგი პირდაპირ აკრიტიკებს მთავრობის წევრებსა და პრეზიდენტს, ზოგიც, ზოგადად, აღშფოთებას გამოხატავს. თავად ჟურნალისტის ტექსტი, ძირითადად, ნეიტრალურია.

21 სექტემბრის სიუჟეტი ეხება გლდანის მე-8 საპრობილეში არსებულ მდგომარეობას. უარყოფითადაა წარმოჩენილი ხელისუფლება. მართალია, უშუალოდ ხელისუფლებას იშვიათად ახსენებენ, თუმცა მთლიანი სიუჟეტის კონტექსტიდან გამომდინარე მასზე უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება. სტუდენტი მოითხოვს ძმები ახალიაების ციხეში ჩასმას, ასევე ყველა იმ ადამიანის დაპატიმრებას, ვინც დამნაშავეა. სიუჟეტში ხშირია მძიმე კადრები - როგორ მისდის გული და როგორ ხდება ცუდად ერთ-ერთი ქალბატონი, ასევე აჩვენეს პატიმარი, რომელიც გისოსებიდან ამბობს, რომ მას კლავდნენ, აწამებდნენ, ასახელებს

კონკრეტულ სახელსა და გვარს. ერთ-ერთი პატიმრის დედა საუბრობს პატიმარზე და ამბობს, რომ მას ერთი კბილიც არა აქვს და რომ ის ვერ გადარჩება.¹⁷

თუმცა, მონიტორინგის პირველ ნახევარში (1-14 სექტემბერი), ასევე, იყო სიუჟეტები, სადაც პრეზიდენტზე დადებითი შთაბეჭდილება რჩებოდა. მაგალითად, 14 სექტემბრის სიუჟეტი სააკაშვილის ვიზიტის შესახებ წყალტუბოში დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტზე. ნაჩვენებია შეკრებილი ხალხი, დროშები. პრეზიდენტი გამოსვლაში საუბრობს აღმშენებლობაზე და სამომავლო გეგმებზე.

სიუჟეტებში გამოყენებული წყაროებისა და წარმოდგენილი აზრთა სხვადასხვაობის მხრივ, კავკასიაზე მონიტორინგის პერიოდში სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, არის შემთხვევები, როცა სიუჟეტები მხოლოდ ერთ წყაროს ეფუძნება. სხვა არხების მსგავსად, კავკასიაზეც ხშირია სიუჟეტები, რომელთა შემთხვევაშიც რთულია ბალანსზე საუბარი.

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე სუბიექტებს 1-21 სექტემბრის პერიოდში სულ 4 სათი და 44 წუთი დაეთმო. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზეა კოალიცია ქართული ოცნება. ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას და პრეზიდენტს შედარებით ნაკლები დრო დაეთმო და ისინი, დათმობილი დროის მიხედვით, მესამე და მეოთხე ადგილას არიან. თუმცა, მათთვის დათმობილ დროს თუ ერთად დავითვლით, რადგან პრეზიდენტი ძალიან ხშირად, წინასასარჩევნოდ, პარტიის სახელით აკეთებს განცხადებებს და კამპანიაში აქტიურად არის ჩართული, მაშინ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დათმობილი დროით პირველ ადგილზე იქნება. პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილებას რაც შეეხება, ყველაზე თანაბარი განაწილება აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას და პრეზიდენტს. დანარჩენ სუბიექტებს პირდაპირი საუბრის წილი საკმაოდ დაბალი აქვთ. სუბიექტების გაშუქების ტონის მხრივ

¹⁷ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=BxDHjPZ-1ns&feature=youtu.be>

მეცხრე არხზე თვალში საცემია უარყოფითი ტონის სიჭარბე მთავრობის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის შემთხვევაში. რაც შეეხება დადებით ტონს, მეცხრე არხზე დადებითი გაშუქება იშვიათია. მეცხრე არხზე საკმაოდ ხშირად შეიმჩნევა კრიტიკული და ირონიული სათაურები პრეზიდენტის, მთავრობისა და მმართველი გუნდის მიმართ. სიუჟეტებში პრეზიდენტი, მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები უმეტეს შემთხვევებში უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული როგორც რესპონდენტების კომენტარების, ასევე საერთო კონტექსტისა და ჟურნალისტის ტექსტის შედეგად. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა 18 სექტემბერს გავრცელებული ვიდეო ჩანაწერების შემდეგ. 19, 20 და 21 სექტემბრის გამოშვებები თითქმის მთლიანად ეხებოდა წამების ფაქტებთან დაკავშირებულ თემებს. ამ არხზე სუბიექტების დადებითი ტონით გაშუქება იშვიათია. რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტებში არ არის წარმოდგენილი მთავრობისა, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა კომენტარები. მეცხრე არხზე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტის მიერ გაკეთებული დასკვნები არ შეესაბამება სიუჟეტში გამოყენებულ მასალებს ან ჟურნალისტის ვარაუდი არის მოცემული როგორც ფაქტი.

მეცხრე არხზე მონიტორინგის პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს 4 საათი და 44 წუთი დაეთმო. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზეა კოალიცია ქართული ოცნება 29 პროცენტით. შემდეგ მოდის მთავრობა 23 პროცენტით. ერთიანი ნაციონალურ მოძრაობასა და პრეზიდენტს შედარებით ნაკლები, 15 და 10 პროცენტი დაეთმო. თუმცა, მათთვის დათმობილ დროს ერთად თუ დავითვლით, რადგან პრეზიდენტი ძალიან ხშირად, წინასასარჩევნოდ, პარტიის სახელით აკეთებს განცხადებებს და კამპანიაში აქტიურად არის ჩართული, მაშინ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დათმობილი 34 პროცენტით პირველ ადგილზე გადაინაცვლებს. დანარჩენ სუბიექტებს 7 ან ნაკლები პროცენტი აქვთ. (იხ. დიაგრამა Time 6)

პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილებას რაც შეეხება, ყველაზე თანაბარი განაწილება აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას (52% პირდაპირი და 48% ირიბი) და პრეზიდენტს (48%

პირდაპირი და 48% ირიბი). ასევე შედარებით თანაბარი განაწილება აქვს ადგილობრივ არასამთავრობოებს - 56% პირდაპირი საუბარი და 44% ირიბი საუბარი. დანარჩენი სუბიექტების შემთხვევაში, რომლებსაც 7 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ პირდაპირი საუბრის წილი 35 პროცენტს არ აღემატება. (იხ. დიაგრამა Speech 6)

სუბიექტების გაშუქების ტონის მხრივ მეცხრე არხზე თვალში საცემია უარყოფითი ტონის სიჭარბე შემდეგი სამი სუბიექტის მიმართ: მთავრობა (51% 1 საათი და 8 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (37% 47 წუთიდან) და პრეზიდენტი (41% 28 წუთიდან). უარყოფითი ტონის დიდი ილი ასევე აქვს ცესკოს - 41 პროცენტი, მისთვის დათმობილი 8 წუთიდან. უარყოფითი ტონის დაბალი მაჩვენებელი აქვს კოალიცია ქართულ ოცნებასაც, 7 პროცენტი თითქმის საათნახევრიდან.

რაც შეეხება დადებით ტონს, მეცხრე არხზე დადებითი გაშუქება იშვიათია. მხოლოდ ორ სუბიექტს დაუფიქსირდა დადებითი ტონის შედარებით დიდი წილი: ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას 17 პროცენტი და პრეზიდენტს 11 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 6)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ზოგად ტონის ტენდენციის მსგავსია, განსაკუთრებით უარყოფითი ტონის შემთხვევაში. უარყოფითი ტონის წილი საკმაოდ დიდია ზუსტად იმ სუბიექტების მიმართ, რომლებსაც საერთო ტონში უარყოფითი გაშუქების ასევე დიდი წილი ჰქონდათ. ესენია: მთავრობა (49% 35 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (47% თითქმის 20 წუთიდან), პრეზიდენტი (45% თითქმის 10 წუთიდან), ცესკო (49% თითქმის 5 წუთიდან) და ადგილობრივი თვითმმართველობა (57% თითქმის 4 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone J6)

სიუჟეტების სათაურების მხრივ მეცხრე არხზე საკმაოდ ხშირად შეიმჩნევა კრიტიკული და ირონიული სათაურები პრეზიდენტის, მთავრობისა და მმართველი გუნდის მიმართ. მაგალითები: „შტაბები ნაციონალურად“ - ნაცმოძრაობის შტაბის წევრი სოციალურ დახმარებებს არიგებს” (6 სექტემბერი), „ღიმილიანი საქართველო“: ჯანსაღი კბილებით პრეზიდენტი აქტიურად ინტერესდება” (6 სექტემბერი), „ჩამორთმეული ხმის უფლება: რუსეთში საარჩევნო უბნები არ გაიხსნება” (7 სექტემბერი), „ნაციონალური მოძრაობის

მხარდამჭერთა სიები: სიების შეგროვებას საარჩევნო კომისიის წევრებს ავალბენ” (11 სექტემბერი), „პრეზიდენტის შეფასება: სააკაშვილმა პოლიტიკურ ოპონენტებს მღრღნელები უწოდა” (11 სექტემბერი), „პრეზიდენტის მიმართვა: მეტი სარგებელისთვის პრეზიდენტი მხარდაჭერას ითხოვს” (13 სექტემბერი), „ტრანსპორტი პარტიული სიმბოლიკით: მმართველ პარტიას ახალგაზრდები ექსკურსიაზე გაჰყავს“ (15 სექტემბერი), „ამომრჩევლების მოსყიდვა: მმართველი პარტიის მაჟორიტარების კანდიდატს უჩივიან“ (18 სექტემბერი).

აღსანიშნავია, რომ 18 სექტემბრიდან, გახმაურებული პატიმრების წამების კადრების ჩვენების შემდეგ განვითარებული მოვლენების გაშუქებისას, მეცხრე არხზე უმეტესად აღწერილობითი შინაარსის სათაურები იყო.

თვისებრივი მონიტორინგის დროს, 1-დან 21 სექტემბრის ჩათვლით, სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებაზე დაკვირვების შედეგად მეცხრე არხზე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სიუჟეტებში ხელისუფლება, მთავრობა, პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ძირითადად უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული, როგორც რესპონდენტების კომენტარების, ასევე საერთო კონტექსტისა და ჟურნალისტის ტექსტის შედეგად. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა 18 სექტემბერს გავრცელებული ვიდეო ჩანაწერების შემდეგ.

მეცხრე არხმა აქტიურად გააშუქა 18 სექტემბერს გავრცელებული პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალა და მასთან დაკავშირებული მოვლენები. 19, 20 და 21 სექტემბრის გამოშვებები თითქმის მთლიანად ეხებოდა წამების ფაქტებთან დაკავშირებულ თემებს: უშუალოდ წამების ამსახველი ვიდეო მასალაც და მათი გავრცელების ვერსიები, საპროტესტო აქციები, ხელისუფლების წევრების განცხადებები, პოლიტიკური პარტიების გამოხმაურება, მინისტრების გადადგომა და ახლების დანიშვნა, ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებული საკითხები, პატიმრების მდგომარეობა, საერთაშორისო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოხმაურება და სხვა. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში, სხვადასხვა სიუჟეტებში მეორდებოდა, მანამდე უკვე გამოქვეყნებული, წამების ამსახველი ვიდეო მასალები. ასევე, შუქდებოდა საქართველოს ციხეებში პატიმრების წამების სხვა ფაქტები, რომლებსაც ყოფილი პატიმრები ან მათი ნათესავები ყვებიან.

3 სექტემბრის სიუჟეტი, „მიტოვებული დასახლება“, უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროზე. სიუჟეტში ნაჩვენებია კადრები, სადაც ჩანს რა პირობებში უწევთ დევნილებს ცხოვრება. ასახულია კანალიზაციის, დასალევი წყლისა და ჰიგიენის პრობლემები, რასაც რესპონდენტების კომენტარებიც ამყარებს. მათი თქმით სამინისტრო რეაგირებას არ ახდენს მაცხოვრებლების თხოვნაზე¹⁸.

6 სექტემბრის სიუჟეტში „ღიმილიანი საქართველო“: ჯანსაღი კბილებით პრეზიდენტი აქტიურად ინტერესდება” უარყოფითად და ირონიულად არის გაშუქებული პრეზიდენტის ეს ინიციატივა. სიუჟეტში ჟურნალისტების ტექსტი საკმაოდ ირონიულია, რესპონდენტები კი უარყოფითად აფასებენ პროგრამას¹⁹.

8 სექტემბრის სიუჟეტი „წინასაარჩევნო ეპითეტები: პრეზიდენტმა ნაციონალების ყრილობაზე პოლიტიკური ოპონენტები გააკრიტიკა” ნეგატიურად წარმოაჩენს მიხეილ სააკაშვილს. სიუჟეტში ხაზი აქვს გასმული იმ ტერმინოლოგიას, რომელსაც პრეზიდენტი ოპონენტების მიმართ იყენებს. ნაჩვენებია ნაწყვეტები მიხეილ სააკაშვილის სხვადასხვა გამოსვლებიდან, სადაც ის უარყოფითად მოიხსენიებს თავის ოპონენტებს²⁰.

18 სექტემბერს გასულ სიუჟეტში, „ამომრჩეველთა მოსყიდვა ფოთში: მმართველი პარტიის მოჟორიტარობის კანდიდატს უჩივიან“, ნაჩვენებია თენგიზ სარიშვილი, რომელიც ხალხთან შეხვედრის დროს ურეკავს ვინმე ნუგზარს და სთხოვს, რომ იმ დღესვე მივიდეს ადგილზე და წყლის პრობლემა მოუგვაროს ხალხს. მაჟორიტარობის კანდიდატი ანალოგიურად იქცევა სხვა შეხვედრაზეც, ხალხს გზების დაგებას ჰპირდება და ამისთვის ახორციელებს ზარს შესაბამის ადამიანთან. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა კმაყოფილია და ეს რესპონდენტების ინტერვიუშიც ჩანს, ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უარყოფით კონტექსტშია გაშუქებული. სიუჟეტში სხვა

¹⁸ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=D4wKAZJPDRM&feature=youtu.be>

¹⁹ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=51TY69yIO64&feature=youtu.be>

²⁰ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=nZSv-Y_DiNg&feature=youtu.be

რესპონდენტების კომენტარების მიხედვით (კოალიცია ქართული ოცნებიდან ეკა ბესელიას შტაბის იურისტი ლილი გელაშვილი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან თათული თოდუა) ადგილი აქვს ამომრჩეველთა მოსყიდვას და საარჩევნო კოდექსის მიხედვით მან თავისი კანდიდატურა უნდა მოხსნას. სიუჟეტში არ არის ნაჩვენები ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის კომენტარი, თუმცა ნათქვამია, რომ თენგიზ სარიშვილი და მისი შტაბი ამაზე კომენტარს არ აკეთებს.²¹

როგორც უკვე აღინიშნა, 18 სექტემბრის შემდეგ იმატა მთავრობისა და ხელიფუსუფლების წარმომადგენლების შესახებ უარყოფითი შინაარსის და შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტებმა. თითქმის ყველა მათგანი ეხებოდა პატიმრების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.

მეცხრე არხზე გვხვდება სიუჟეტები, სადაც კონკრეტული სუბიექტის მიმართ უარყოფით შთაბეჭდილებას ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტი. მაგალითები:

- „საქართველოს ხელისუფლების ტყუილი და აღიარება: შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად აცხადებს, რომ სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებული 11 ადამიანიდან არცერთი არ არის საქართველოს მოქალაქე. ამ განცხადებიდან ორ დღეში სააკაშვილის ხელისუფლება აღიარებს, რომ მან შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება და ლოპოტის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას საქართველოს ორი მოქალაქე მოკლა. კიდევ რას უმაღავს საკუთარ მოსახლეობას მმართველი ძალა?“ (3 სექტემბერი, სიუჟეტი „შსს-ს აღიარება“).
- „ერთ წელზე მეტია ხელისუფლება სახელმწიფროებრივი მიღწევების წარმოჩენას ხალხის სახეებზე ცდილობს. ეკონომიკური წინსვლის სიკეთე მოქალაქეების ღიმილმა და ჯანსაღმა კბილებმა უნდა გამოავლინოს“ (6 სექტემბერი, სიუჟეტი „ღიმილიანი საქართველო: ჯანსაღი კბილებით პრეზიდენტი აქტიურად ინტერესდება“).
- „აშენებული საავადმყოფოების, ასაშენებელი ლაზიკისა და ოკუპირებული ტერიტორიებზე საუბრის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა მოსალოდნელი არჩევნებისა და პოლიტიკური ოპონენტებისთვისაც მოიცალა“ (8 სექტემბერი, სიუჟეტი „წინასაარჩევნო ეპითეტები: პრეზიდენტმა ნაციონალების ყრილობაზე პოლიტიკური ოპონენტები გააკრიტიკა“).

²¹ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=oT9KYZ-K8Xo&feature=youtu.be>

- „ნახეთ მიხეილ სააკაშვილის ბრძოლა მღრღნელებისა და მუმიების წინააღმდეგ“ (11 სექტემბერი, სიუჟეტი „პრეზიდენტის შეფასება: სააკაშვილმა პოლიტიკურ ოპონენტებს მღრღნელები უწოდა“).
- „დედაქალაქში კი გაირკვა, რომ მერაბიშვილი უმუშევრობასთან ერთად პოლიტიკური დინოზავრების დამარცხებასაც შეეცდება“ (12 სექტემბერი, სიუჟეტი „მტრული კლასი: მერაბიშვილის განცხადებას ოცნებაში მუქარად აღიქვამენ“).
- „ბოროტი ხულიგნობის შემდეგ ბოროტი ხუმრობა - წითელი ხუთიანებით აჭრელებული ჭორვილა და ნაციონალების უკანონო აგიტაცია.“ (17 სექტემბერი, „ხუთიანები ჭორვილში: ნაციონალებმა ხუთიანები ივანიშვილის ჭიშკარზეც დააწერეს“).

რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სიუჟეტებში, რომლებიც ნაკლებადაა დაბალანსებული, უმეტესწილად, არ არის წარმოდგენილი ხელისუფლების, მთავრობის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელთა კომენტარები.

მეცხრე არხზე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტის მიერ გაკეთებული დასკვნები არ შეესაბამება სიუჟეტში გამოყენებულ მასალებს ან ჟურნალისტის ვარაუდი არის მოცემული როგორც ფაქტი, რაც კონკრეტულ შემთხვევებში ამძიმებს და ამძაფრებს სურათს. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია, 19 სექტემბერს გასული სიუჟეტი - „არასრულწლოვნების წამება: ყოფილი პატიმარი ქართული ციხის სასტიკ რეალობაზე ყვება“. სიუჟეტში კიდევ ერთხელ არის ნაჩვენები პატიმრების ცემის ამსახველი ვიდეო მასალა, რესპონდენტი კი ყვება კიდევ რა დარღვევები ხდება ციხეში. ამის შემდეგ გვაჩვენებენ ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულების შენობას. აგვისტოში იქ „ბუნტი“ მოხდა და, როგორც სიუჟეტში გვეუბნებიან, იმის შემდეგ შენობა რემონტდება. პატიმრები კი სხვა დაწესებულებებში არიან გადაყვანილი. ჟურნალისტის თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებს მათთან

შეხვედრის საშუალება არ ეძლევათ. სულ ბოლოს, ჟურნალისტი გვეუბნება: „... ასე რომ, დღემდე უცნობია წამება და დამცირება ხომ არ გახდა ამ ბუნტის მიზეზი.“²²

რეალ ტვ

რეალ ტვ-ზე 1-21 სექტემბრის პერიოდში სუბიექტებს სულ 10 საათი და 26 წუთი დაეთმო. პირველ ადგილას დგას კოალიცია ქართული ოცნება. პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტულ განაწილებას რაც შეეხება, იმ სუბიექტებს შორის, რომელთაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი. თვალში საცემია, დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილას მდგომი კოალიცია ქართული ოცნების უარყოფითი ტონით გაშუქების ძალიან დიდი წილი. როგორც საერთო ტონის შედეგებში, ისე ჟურნალისტიტს ტონში გამოიკვეთა ერთი და იგივე ოთხი სუბიექტი, რომელთაც დადებითი გაშუქების ყველაზე დიდი წილი აქვთ. ესენია: პრეზიდენტი, მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ადგილობრივი თვითმმართველობა. სიუჟეტების სათაურების მხრივ რეალ ტვ-ზე დაფიქსირდა გამოკვეთილად უარყოფითი და ირონიული შინაარსის სათაურები, ძირითადად, კოალიცია ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ. სიუჟეტებში, ძირითადად, საერთო შთაბეჭდილება მკვეთრად დადებითისკენ ან მკვეთრად უარყოფითისკენ იხრება. დადებითი სიუჟეტების უმეტესობა ეხება პრეზიდენტს და მთავრობას. ხოლო, უარყოფითი შინაარსის სიუჟეტები, ძირითადად, კოალიცია ქართულ ოცნებას და ბიძინა ივანიშვილს. ეს ტენდენცია გრძელდება 18 სექტემბრის მოვლენების შემდეგაც. ხშირია მონტაჟის, კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.

რეალ ტვ-ზე 1-21 სექტემბრის პერიოდში სუბიექტებს სულ 10 საათი და 26 წუთი დაეთმო. პირველ და მეორე ადგილას არიან კოალიცია ქართული ოცნება 27 პროცენტით და პრეზიდენტი 21. მეორე და მესამე ადგილზე, შედარებით დაბალი პროცენტული მაჩვენებლებით, და ამავდროულად მსგავსი განაწილებით, არიან მთავრობა 14 პროცენტით

²² იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=EziZW99_OC0&feature=youtu.be

და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 13 პროცენტით. დანარჩენ სუბიექტებს კი მხოლოდ 7 პროცენტი ან ნაკლები ერგოთ. (იხ. დიაგრამა Time 7)

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტულ განაწილებას რაც შეეხება, იმ სუბიექტებს შორის, რომელთაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, 2 სუბიექტის გარდა პირდაპირი საუბრის წილი ყველას 72 პროცენტზე მეტი აქვთ. პირდაპირი საუბრის ყველაზე დიდი წილი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აქვს - 90% დათმობილი 24 წუთიდან. კოალიცია ქართულ ოცნებას კი, პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი დაუფიქსირდა - 29 პროცენტი 1 საათი და 46 წუთიდან. აღსანიშნავია, რომ მთავრობის შემთხვევაშიც პირდაპირი საუბრის, სხვა სუბიექტებთან შედარებით, წილი საკმაოდ დაბალია - 42 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 7)

სუბიექტების გაშუქების ტონს რაც შეეხება, თვალში საცემია დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილას მდგომი კოალიცია ქართული ოცნების უარყოფითი ტონით გაშუქების წილი - 77 პროცენტი, დათმობილი, თითქმის, 3 საათიდან. რაც შეეხება დადებით ტონს, შემდეგი ოთხი სუბიექტის მიმართ გამოვლინდა დადებითი ტონის საკმაოდ დიდი წილი: პრეზიდენტი (77% 2 საათი და 14 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (42% დაახლოებით 1 საათი და 42 წუთიდან), მთავრობა (22% დაახლოებით საათნახევრიდან) და ადგილობრივი თვითმმართველობა (85% - თითქმის 12 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone 7)

სუბიექტებზე ჟურნალისტის საუბრის ტონის შეფასებისას იკვეთება, რომ კოალიცია ქართულ ოცნებას ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში უარყოფითი ტონის უფრო მეტი წილი აქვს - 85 პროცენტი (დაახლოებით საათნახევრიდან), ვიდრე საერთო ტონის შედეგებში. მსგავსია დადებითი ტონის განაწილებაც. მთავრობა, პრეზიდენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ადგილობრივი თვითმმართველობა ის სუბიექტებია, რომლებსაც დადებითი ტონის ყველაზე დიდი წილი აქვთ: მთავრობა (19%), პრეზიდენტი (49%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (37%) და ადგილობრივი თვითმმართველობა (56%). (იხ. დიაგრამა Tone J7)

სიუჟეტების სათაურების მხრივ რეალ ტვ-ზე აღსანიშნავია, რომ ხშირად გვხვდება აღწერილობითი და მოკლე სათაურები. თუმცა, მონიტორინგის ამ პერიოდში დაფიქსირდა

გამოკვეთილად უარყოფითი და ირონიული შინაარსის სათაურებიც, ძირითადად, კოალიცია ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ. მაგალითად, "ივანიშვილი, ივანიშვილმა, ივანიშვილს..." (4 სექტემბერი), "ბიძინამ ნილაბი მოიხსნა" (4 სექტემბერი), "ბიძინას ასლანიზაცია" (6 სექტემბერი), "ბიძინა - ჩავარდნილი პროექტი" (6 სექტემბერი), "მატყუარა ოლიგარქი" (10 სექტემბერი), "ოცნების ფარული ოფისი" (12 სექტემბერი), "მეოცნებეების ქეიფი" (12 სექტემბერი), "ივანიშვილის "შემდგარი" კოალიცია" (13 სექტემბერი), "ბიძინას მუქარა რეალ ტვ-ს" (13 სექტემბერი), „სეპარატისტული ოცნება“ (17 სექტემბერი), „ოცნების პიარშიკების სქემა“ (18 სექტემბერი), „ოლიგარქის ტყუილი“ (18 სექტემბერი).

რეალ ტვ-ის სიუჟეტებში, ძირითადად, საერთო შთაბეჭდილება მკვეთრად დადებითსკენ ან მკვეთრად უარყოფითსკენ იხრება. იშვიათია ნეიტრალური საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები. ამასთან, დადებითი სიუჟეტების უმეტესობა ეხება პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, მთავრობას, ხელისუფლებას, ერთიან ნაციონალური მოძრაობასა და თბილისის მერს. ეს ტენდენცია ნარჩუნდება 18 სექტემბრის მოვლენების შემდეგაც.

მაგალითად, 6 სექტემბრის სიუჟეტში, „სტუმრად პრეზიდენტთან“, ნაჩვენებია შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრების სტუმრობა მიხეილ სააკაშვილთან ვენახში. სიუჟეტი საკმაოდ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტზე. ნაჩვენებია თუ როგორ კრეფენ სააკაშვილი და უცხოელი მინისტრები ყურძენს, აცხობენ პურს თონეში დაბოლოს, როგორ წურავენ ღვინოს საწნახელში. სიუჟეტში ასევე რამდენიმე წამით ჩანს ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც, ასევე, კრეფს ყურძენს²³.

ასევე, 10 სექტემბრის სიუჟეტი - „ნაციონალური მოძრაობის“ რეგიონალური ტურნე“, სადაც დადებითად იყო გაშუქებული პარტია და პრეზიდენტი. ნაჩვენებია შეკრებული ხალხის კადრები, დროშები, კმაყოფილი რესპონდენტების კომენტარები, პრეზიდენტის სიტყვა. აღსანიშნავია, აღდგენილი რაბათი ციხის კადრები, რომელსაც გასდევს სასიამოვნო მუსიკა და სხვადასხვა მხრიდან არის ნაჩვენები.

²³ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=SFw6eqVOFgU&feature=youtu.be>

17 სექტემბრის სიუჟეტში, „პრეზიდენტი კახეთში“, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის მიმართ საკმაოდ დადებითია. ნაჩვენებია პრეზიდენტისა და პირველი კლასის მოსწავლეებთან შეხვედრის კადრები თელავსა და საგარეჯოში, ასევე, სააკაშვილის შეხვედრა მასწავლებლებთან. მას ერთ-ერთი ქალბატონი მთელი კოლექტივის სახელით მადლობას უხდის. პრეზიდენტი საუბრობს, თუ რა კარგად არის მოწყობილი საკლასო ოთახი. თუმცა, აღნიშნავს რომ ამ ოთახის მთავარი სილამაზე ბავშვებია. მიხეილ სააკაშვილს თან ახლავს განათლების მინისტრი, ხატია დეკანოიძე. პრეზიდენტი მასთან ერთად საკლასო ოთახში საუბრობს სკოლების რეაბილიტაციაზე, სპორტული ცენტრების გაკეთებასა და სასწავლებლების კომპიუტერებით უზრუნველყოფაზე. პარალელურად, სააკაშვილი ხატია დეკანოიძეს უსმევს კითხვებს სკოლებთან დაკავშირებით.²⁴

რეალ ტვ-მ, ისევე როგორც სხვა არხებმა, გააშუქა 18 სექტემბერს გავრცელებული პატიმრების ამსახველი ვიდეო მასალასთან დაკავშირებული ინფორმაცია. თუმცა, რუსთავი 2-სა და იმედის მსგავსად, რეალ ტვ-მაც ეს ყველაფერი უფრო მეტად გააშუქა ამ კადრების დაკვეთის კუთხით. ხაზი ყოველთვის გასმული იყო იმაზე, რომ ეს კადრები დაკვეთილი იყო თამაზ თამაზაშვილის მიერ და ეს ქართული ოცნების გარკვეულ სქემად წარმოაჩინა. 18 სექტემბერს ორი სიუჟეტი („დანაშაულებრივი გეგმა“ და „სკანდალური კადრები“) მიემდგნა ამ თემას და ორივე მათგანი ეხებოდა თამაზაშვილს და მის კავშირს ამ ყოველივესთან. ნაჩვენები ცემის კადრების ფონად ჟურნალისტის ტექსტი ასეთია:

„გაირკვა, რომ ამ ძალადობის უკან დიდი ფული და გარკვეული პოლიტიკური განზრახვა დევს... თუმცა, იმის ხაზგასასმელად, რომ, თითქმოს, სასჯელადსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულებს სასტიკად უსწორდებიან ქურდების შეგინების მოძველებული მეთოდიც გამოიყენეს.“

19 სექტემბერს გაშუქდა პატიმრების ცემის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების მოქმედებები, ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების რეაქციები გავრცელებულ ფაქტზე, ამერიკის საელჩოს განცხადება, უცხოური მედიის გამოხმაურება, განხორციელებული ცვლილებები პენიტენციურ სისტემაში და სხვა. ასევე, გაშუქდა წამების წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციაც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 19 სექტემბერს აქციის იმ ორ მონაკვეთზე

²⁴ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=w0cnFfJx7gM&feature=youtu.be>

გაკეთდა აქცენტი, სადაც ჩანს გურამ ჩახვაძისა და სტუდენტების კონფლიქტი და აქციის მონაწილეთა უარი ჯონდი ბადათურის მოწოდებაზე, გაყოლოდნენ პრეზიდენტის სასახლესთან. 20 და 21 სექტემბერსაც ეთერი იგივე მოვლენების გაშუქებას მიეძღვნა, გაშუქდა გლდანის ციხესთან განვითარებული მოვლენები. აღსანიშნავია, რომ 20 სექტემბრის გამოშვებაში ორ-ორჯერ გავიდა ერთი და იგივე სათაურისა და შინაარსის მქონე სიუჟეტები: „ახალაის განცხადება გადადგომაზე“ და „მინისტრის მოადგილის განცხადება“.

აღსანიშნავია, რომ პატიმართა გაუპტიურების ვიდეო მასალა ამ არხზე საერთოდ არ გასულა. საერთო ჯამში, რეალ ტვ-ზე, ამ პერიოდში გასული თითქმის ყველა სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა პატიმრების წამების ფაქტებს, ერთის მხრივ, უფრო მეტად ეხებოდა მთავრობისა და ხელისუფლების რეაქციას მიმდინარე მოვლენებზე და მათ დადებით კონტექსტში წარმოაჩენდა. მეორეს მხრივ, ეხებოდა კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელიც ამ ყველაფრის დაგეგმვასა და მოწყობაში იყო დადანაშაულებული.

მაგალითად, 21 სექტემბრის სიუჟეტი „დასავლეთის გამოხმაურება“ დადებითად წარმოაჩენს საქართველოს მთავრობას. რესპოდენტების ინტერვიუებში ჭარბობს დადებითი შეფასებები მთავრობის მიმართ. თავად ჟურნალისტიც აღნიშნავს, რომ მთავრობის ქმედებებს დადებითი შეფასებები მოჰყვა. ამასთან, ჟურნალისტი ვრცლად აღწერს, თუ რა საშინელებები ხდებოდა აბუ გრეიბსა და გუანტანამოში - აჩვენებენ წამების კადრებს, ასევე ელექტროსკამს. ჟურნალისტი იმასაც აღნიშნავს, რომ აშშ-ში სიკვდილით დასჯაც აქვთ. რჩება შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტი ცდილობს წამების სხვა ფაქტებზე საუბრით აჩვენოს, რომ ეს პრობლემა ყველგან დგას.²⁵

მეორეს მხრივ, რეალ ტვ-ზე დიდი დრო ეთმობა ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია ქართული ოცნების გაშუქებას. უმეტეს შემთხვევებში მათზე საერთო შთაბეჭდილება მკვეთრად უარყოფითი რჩება. სიუჟეტებში ხშირია მონტაჟის, კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევები. ასევე, ოპოზიციის წარმომადგენლების ირონიული

²⁵ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=gE7rlxBpxlo&feature=youtu.be>

ეპითეტებით მოხსენიება, რაც ხშირად ჟურნალისტის მხრიდანაც ფიქსირდება. ეს ტენდენცია ნარჩუნდება 18 სექტემბრის მოვლენების შემდეგაც.

ამისი ძალიან კარგი მაგალითია 13 სექტემბერს გასული სიუჟეტი „არშემდგარი კოალიციები“. სიუჟეტი ქმნის უარყოფით შთაბეჭდილებას კოალიცია ქართულ ოცნებაზე და მის ლიდერზე და ამავდროულად, დადებითად აშუქებს ხელისუფლებას. მრავლადაა კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევები. სიუჟეტი მთლიანად აგებულია არქივიდან ამოღებული კადრებზე და ქრონოლოგიურად მოგვითხრობს საქართველოს ბოლო 25 წლის მანძილზე არსებული პარტიებისა და სხვადასხვა გაერთიანებების შესახებ, რომლებსაც „არშემდგარ კოალიციებს“ უწოდებენ: „საბჭოთა კავშირი“, „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, „აღორძინება“, „ქართული პარტია“, „სახალხო კრება“. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი უარყოფითად არის წარმოჩენილი. არქივიდან ამოღებული კადრები, როგორცაა თბილისის ომი, ქუჩაში გამოსული მოსახლეობა, რომელიც დანთებულ კოცონთან თბება, მოხუცები თავშესაფარში, 2011 წლის მაისის აქციები და სხვა, დაკავშირებულია ჩამოთვლილ „კოალიციებთან“ და ჟურნალისტი გვეუბნება, რომ „აი, ასეთი საქართველო შექმნეს მათ“.

ხაზგასასმელია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დადებითად არის წარმოჩენილი ამ ჩამონათვალში და ნათქვამია, რომ „ეს დრო ნაციონალური მოძრაობის ირგვლილ შექმნილმა კოალიციამ ამოწურა.“ ამას მოჰყვება ვარდების რევოლუციის კადრები და შემდეგ თითქმის ერთი წუთის განმავლობაში სასიამოვნო მუსიკის ქვეშ ნაჩვენებია აშენებული და განახლებული საქართველო. სულ ბოლოს კი, უარყოფით კონტექსტში განხილულია კოალიცია ქართული ოცნება და მისი ლიდერი. რასაც ასევე, ერთვის კადრებით მანიპულირების შემთხვევა, გამოყენებული კადრები რუსული ფილმიდან - „ბრილიანტის ხელი“²⁶.

17 სექტემბრის სიუჟეტი, „ბიძინას აქცენტები „აქცენტებში“, უარყოფითი შინაარსისაა ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ამოჭრილია მეცხრე არხზე გასული „ტელეხიდის“ კადრები, ასევე, ეკა კვესიტაძის „აქცენტებიდან“. ხშირად, ჯერ ჟურნალისტის კომენტარი არის და შემდეგ ბიძინა ივანიშვილის კომენტარი აღნიშნული გადაცემის ნაწყვეტებიდან, რაც წინასწარ ქმნის

²⁶ იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: <http://www.youtube.com/watch?v=EpUsBe2qE2A&feature=youtu.be>

გარკვეული სახის შთაბეჭდილებას. სიუჟეტში ხაზგასმულია ისიც, რომ ოლიგარქს შერჩეული კითხვები დაუსვეს. გაკრიტიკებულია თვითონ გადაცემა და კითხვებიც. გაკეთებულია მსგავსება ამავე ტიპის რუსულ გადაცემასთან, სადაც ვლადიმერ პუტინი იყო სტუმარი. ჟურნალისტი ხაზს უსვამს, რომ „მაამებლურ“ შეკითხვებში რუსულ და ქართულ ანალოგში განსხვავება თითქმის არაა. სიუჟეტში ნათქვამია, რომ კოალიციის ლიდერმა „ნაყიდი მედია პიარისა და საკუთარი ქველმოქმედების ტირაჟირებისთვის წარმატებულად გამოიყენა“. აჩვენებენ გადაცემა „ტელეხიდის“ კადრს, სადაც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ მას უვრცელებენ ჭორებს იმის შესახებ, რომ ის მასწავლებლებს დაიჭერს. ამას მოსდევს ივანიშვილის განცხადების კადრები არქივიდან, სადაც ის ამბობს რომ არსებობს იმის ალბათობა, რომ არა მხოლოდ მასწავლებლები, არამედ მოსამართლეებიც გასამართლდებიან.

19 სექტემბრის სიუჟეტი „საგამომიებო მოქმედებები“ ეხებოდა, პატიმრების წამებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის გამოძიებას. სიუჟეტში გაშუქებულია კადრები, სადაც ბრალდებულები ყვებიან თუ როგორ გადაიღეს გამოქვეყნებული კადრები და ვისი დავალებით. ასევე აღნიშნავენ, რომ კოალიცია ქართული ოცნება შევარდნაძის დროინდელი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელ, და ახლა უკვე პატიმარ, თამაზაშვილის დაცვას ომბუდსმენს სთხოვს.

რეალ ტვ-ზე სიუჟეტებში ზოგად შთაბეჭდილებას, როგორც უარყოფითს, ასევე დადებითს, კიდევ უფრო ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტები. მაგალითები:

- „ის, რომ სპეცოპერაციის დროს დაღუპულმა სამხედროებმა თავი ქვეყნის დაცვას შესწირეს, მეოცნებეებისთვის მიუღებელ და წარმოუდგენელ ფაქტად რჩება“ (3 სექტემბერი, სიუჟეტი „სპეცოპერაცია ლაფანყურში“).
- „...თუმცა, ყველაზე მეტად პუტინის წისქვილზე წყლის დასხმით ჯერ ისევ ქართული ოცნება გამოირჩევა.“ (3 სექტემბერი, სიუჟეტი „გადამდგარი პოლკოვნიკის აღიარება“)
- „ვისმა შავმა კატამ გაირბინა ჯონდი ბალათურისა და ოლიგარქ ივანიშვილს შორის ეს დღეს ქართული დასის ლიდერს არ დაუკონკრეტებია. ჯონდი ბალათურის ოცნება, მორგებოდა ივანიშვილის გარემოცვას და მის დიდ ფულს, ჯერ ისევ ოცნებად რჩება“ (3 სექტემბერი, სიუჟეტი „ჯონდი vs. ბიძინა“).

- „ოლიგარქის კარის პაიკებთან ერთად რიგში ჩადგომას ბალათურია უკვე 11 თვეა ცდილობს“ (3 სექტემბერი, სიუჟეტი „ჯონდი vs. ბიძინა“).
 - „კოალიციის ლიდერს ფეხი ბევრჯერ დაუცდა, თუმცა მის თაბაშირში ბრილიანტების ნაცვლად მხოლოდ ძველი და ყალბი ქვებიან ამბობენ.“ (13 სექტემბერი, სიუჟეტი „არშემდგარი კოალიციები“).
 - „რაც არ უნდა შეგვილოცოს ბიძინამ, რეალტივის ვერ გააქრობს“ (17 სექტემბერი, სიუჟეტი „სეპარატისტული ოცნება“).
 - „მეოცნებეებმა ახალქალაქში საბავშვო სკვერიც კი ვერ შეავსეს, ამიტომაც ერთ მხარეს პატარები ერთობოდნენ, მეორე მხარეს ბიძინა.“ (17 სექტემბერი, სიუჟეტი „სეპარატისტული ოცნება“).
 - „ასეთ სეპარატისტულ ოცნებას ქართული ოცნება, მართლაც, მთვარეზე თუ აისრულებს.“ (17 სექტემბერი, სიუჟეტი „სეპარატისტული ოცნება“).
 - „იმასაც ფიქრობენ [პატიმრები], რომ მათ „სვაბოდას“ ივანიშვილი მოუტანს; მილიარდერს კი აქ „ბიძაჩვენს“ ემახიან.“ (21 სექტემბერი, სიუჟეტი „ვითარება გლდანის ციხესთან“).
-
- „ნაციონალური მოძრაობის მთავარი პოლიტიკური მესიჯები მმართველი გუნდის ყველაზე პატარა წევრებისთვისაც გასაგებია.“ (10 სექტემბერი, სიუჟეტი „ნაციონალური არჩევანი“).
 - „მიხვდნენ [მოქალაქეები], რომ ყველაფერი ხუთიანზეა და ამიტომ რაბათის ციხის დათვალიერება გადაწყვიტეს. თუმცა, ეს იმის შემდეგ, რაც ახალციხეში ნაციონალური მოძრაობის შეკრებამ ხუთიანზე ჩაიარა.“ (10 სექტემბერი, სიუჟეტი „ნაციონალური მოძრაობის რეგიონალური ტურნე“).
 - „მიხეილ სააკაშვილის გუნდის მატარებელი, მაშინ, სწრაფი რეფორმებით დაიძრა.“ (10 სექტემბერი, სიუჟეტი „ვარდების რევოლუციიდან დღემდე“).
 - „მიუხედავად არაერთი პრობლემისა, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველაზე კრიზისულ პერიოდში ქვეყნის მდგომარეობიდან გამოყვანის სწორი გზა მაინც მონახა.“ (10 სექტემბერი, სიუჟეტი „ვარდების რევოლუციიდან დღემდე“).

რაც შეეხება სიუჟეტების ბალანსს წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით, ამ პერიოდში სიუჟეტები ხან დაბალანსებულია, ხან არა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტების ნაწილი განპირობებულია კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობით. ასევე, ხშირად გვხვდება სიუჟეტები, სადაც რთულია ბალანსზე საუბარი.

სექტემბრიდან პირველი არხის, რუსთავი 2-ისა და იმედის მსგავსად, რეალ ტვ-მ საინფორმაციო გამოშვებაში დაიწყო პირდაპირი ჩართვების გაკეთება. ამ ჩართვებში მონაწილეობას იღებენ პოლიტიკური ფიგურები. მონიტორინგის ამ პერიოდში (1-21 სექტემბერი) „რეალობაში“ სულ 10 ასეთი ჩართვა მოხდა და მათ საშუალოდ 15 წუთი დაეთმო. თითოეულ ჩართვაში მხოლოდ ერთი სტუმარია წარმოდგენილი. მონიტორინგის პერიოდში გასულ საინფორმაციო გადაცემებს შემდეგი რესპოდენტები სტუმრობდნენ: ლევან ვეფხვაძე (ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება), სერგო რატიანი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ინგა გრიგოლია (ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება), ანდრია ურუშაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), დავით საყვარელიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გურამ ჩახვაძე (ეროვნულ დემოკრატიული პარტია), გიორგი ლალიძე (მომავალი საქართველო), დიმიტრი ლორთქიფანიძე (თავისუფალი საქართველო), პეტრე მამრაძე (მწვანეთა პარტია), გიორგი ჩაჩანიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა).


ამ ჩართვებში ჟურნალისტი ყოველთვის აცდის სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას და მხოლოდ მაშინ აწყვეტინებს, როცა დამატებითი კითხვის დასმა სურს ან თემიდან გადახვევას აქვს ადგილი. ჟურნალისტის შეკითხვები სტუმრებისადმი უმეტესად ნაკლებად მომთხოვნია. შედარებით მკაცრი კითხვები კი ეხება კოალიცია ქართულ ოცნებას და ბიძინა ივანიშვილს.

აღსანიშნავია, რომ 18 სექტემბერს, განვითარებული მოვლენების შემდეგ გასულ ჩართვაში, სადაც სტუმარი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დიდუბის მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი ჩაჩანიძე, ჟურნალისტის პირველივე კითხვა ასეთი იყო:


„ბატონო გიორგი, პირველი შეკითხვა თამაზ თამაზაშვილის შესახებ გავრცელებული სკანდალური ვიდეო მასალით მინდა დავიწყოთ. როგორ ფიქრობთ, წინასაარჩევნოდ გამოაშკარავებული ეს ფაქტი, რამდენად უარყოფით გავლენას მოახდენს ქართული ოცნების რეიტინგზე? ეს იმ ფონზე, როცა ივანიშვილი თამაზაშვილს შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელს უმიზნებდა.“

დანართი - დიაგრამები


დიაგრამა Time 1




დიაგრამა Time 2




დიაგრამა Time 3




დიაგრამა Time 4




დიაგრამა Time 5




დიაგრამა Time 6




დიაგრამა Time 7




დიაგრამა Speech 1




დიაგრამა Speech 2




დიაგრამა Speech 3




დიაგრამა Speech 4




დიაგრამა Speech 5




დიაგრამა Speech 6



დიაგრამა Speech 7




დიაგრამა Tone 1




დიაგრამა Tone J1




დიაგრამა Tone 2




დიაგრამა Tone J2




დიაგრამა Tone 3




დიაგრამა Tone J3




დიაგრამა Tone 4




დიაგრამა Tone J4




დიაგრამა Tone 5




დიაგრამა Tone J5



დიაგრამა Tone 6



დიაგრამა Tone J6



დიაგრამა Tone 7



დიაგრამა Tone J7

